ლია ქამანაშვილი

ნაშრომი: “გლობალური მიგრაციის კრიზისი: გამოწვევები და პერსპექტივები”

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0177

2019

ავტორი: ლია ქამანაშვილი _____

საიდენტიფიკაციო ნომერი _____

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სკოლა: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

საგანმანათლებლო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები

,,ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **ლია ქამანაშვილის** მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: "გლობალური მიგრაციის კრიზისი: გამოწვევები და პერსპექტივები" და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად"

თარიღი _____

ხელმძღვანელი : სოფო ჩქოფოია, ასოცირებული პროფესორი

_____

რეცენზენტი:

_____

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი:

ნათია ვაჭარაძე

_____

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. მიგრაცია, როგორც გლობალური მოვლენა თანამედროვე მსოფლიოში..... 7

1.1. მიგრაციის არსი, სახეები და ფაქტორები,ნებაყოფლობითი და იძულებითი მიგრაცია: შემწყნარებლობა და შეუმწყნარებლობა 7

1.2.გენდერი და საერთაშორისო მიგრაცია: პრობლემები და გამოწვევები..... 13

თავი II. გლობალური მიგრაციის კრიზისი: გამოწვევები საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვის კუთხით..... 17

2.1. ლტოლვილთა ნაკადები ევროპაში: ღია საზღვრის პოლიტიკა..... 17

2.2. უცხო კულტურის გათავისებისა და კულტურათაშორისი კონტაქტის პრობლემები..... 23

2.3.დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის საიმიგრაციო პოლიტიკა.....28

თავი III. მიგრაციული პროცესების გლობალური ტენდენტიები და საქართველო 32

3.1.შრომითი მიგრაცია საქართველოდან, რისკები და გამოწვევები.....32

3.2. საქართველოს მიგრაციის სტრატეგია 37

3.3. საქართველოს მიგრაციის სტატისტიკა 47

დასკვნა 48

გამოყენებული ლიტერატურა 51

რეზიუმე

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი **„მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში გამოწვევები და პერსპექტივები"**, შეეხება მიგრაციას და მის შედეგად გამოწვეულ გლობალურ ცვლილებებს, რომელიც აისახება გეოპოლიტიკურ მოვლენებზე.

ჩვენი მიზანი გახლდათ, შეგვესწავლა მიგრაციის მზარდი განვითარება, რამაც უამრავი შიდა მიგრაცია საერთაშორისო მიგრაციად აქცია. უნდა ავღნიშნოთ, რომ ის სახელმწიფოები, რომლთაც აკლია იაფი მუშახელი დიდი ბედნიერება, მათვის მიგრანტი დიდ ფუფუნებად ითვლება, თუმცა მათი ჭარბი რაოდენობით მიღება საკმაოდ რთულია, აქედან ჩანს ჩვენი საკვლევი თემის აქტუალურობა.

კვლევის ამოცანაა იმის ნათლად ჩვენება, რომ საქართველოში საკმარისად არ არის შესწავლილი მიგრაცია და მისი გამომწვევი მოვლენები, გლობალიზაციის ერა კი მოვლენებს სინათლის სიჩქარით გარდაქმნის.

კვლევის საგანია: მიგრაციის არსი, სახეები და ფაქტორები, თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლვილები და ტრეფიკინგის მსხვერპლების უფლებები და ვალდებულებები, გენდერი და საერთაშორისო მიგრაცია: პრობლემები და გამოწვევები.

კვლევის ობიექტია საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებსი და ზესახელმწიფოების შესწავლა გლობალური მიგრაციის პრობლემების შესწავლის კუთხით.

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს უცხოელი და ქართველი მეცნიერების ნაშრომი,საერთაშორისო საკანომდებლო და ნორმატიული-სამართლებრივი დოკუმენტები. წყაროები მოიცავს საქართვეელოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების სტატისტიკურ მონაცემებს.

ძირითადი შედეგად ვამტკიცებთ, რომ მიგრაცია დროთა განმავლობაში ხდება მზარდი მონსტრი, რომელიც ცვლის მსოფლიო რუკას, რომელსაც თან ახლავს მზარდი ტერორიზმი და კრიმინალი, საკმაოდ რთულია ამ მოვლენის ერთ ჩარჩოში მოქცევა.

კვლევის სიახლე ნათლად გვაფიქრებს დემოგრაფილ ფაქტორზე, მოსახლეობის ზრდაზე, მიგრაციის მოვლენებს ვუყურებთ გენდერის განზომილებით, "ღია საზღვრების" ჯერ კიდევ დაუძლეველ პრობლემებს, ამერიკის ექსცენტრიული ლიდერის დონალდ ტრამპის საგარეო პილიტიკას, უცხო კულტურის მიღება-გათავისების პრობლემები და ჩვენი სამშობლოს საიმიგრაციო და საემიგრაციო პრობლემები.

Resume

The master's thesis "Migration Processes in the Modern World Challenges and Perspectives", it examines migration and global changes, which is reflected in geopolitical events.

Our goal was to study the growing development of migration, which made lots of internal migration into international migration. It should be noted that the states which is in need of the cheap labor are accepting migrants with happiness. But it is quite difficult to accept their great number, from which we can see the actuality of our research topic.

The task of the research is to demonstrate that Georgia is not well studied migrations and events that are causing it, and the globalization era transforms events to light speed.

The subject of research is: the essence, types and factors of migration, shelter seekers, refugees and the rights and obligations of victims of trafficking, gender and international migration: problems and challenges.

The research subject is to study Georgian government, international organizations and superpowers in the study of global migration problems.

Theoretical basis of research is the work of foreign and Georgian scientists, international legislative and statutory legal documents. Sources include statistical data of the National Statistics Office of Georgia and various agencies of the executive branch.

The main result is the fact that migration is increasingly becoming a growing monster that changes the world map, which is accompanied by a growing number of terrorists and criminals, which is very difficult to put into one frame of this event.

The novelty of the research is clearly reflected on the demographic factors, population growth, migration events, gender dimensions, the still challenging issues of "open borders", the foreign policy of the American leader, Donald Trump, the problems of adoption of foreign culture and the immigration and emigration problems of our homeland.

შესავალი

<u>თემის აქტუალურობა -</u> განპირობებულია თანამედროვე მსოფლიოში, მზარდი გლობალური პროცესებით, რამაც ხელი შეუწყო მიგრაციული პროცესების ზრდას. 21- ე საუკუნეს მემკვიდერეობად დარჩა წინა საუკუნიდან, არაერთი პრობლემატური საერთაშორისო დონის სამართებრრივი გამოწვევა, როგორიცაა ტერორიზმი, სეპარატიზმი, გლობალურ დათმობასთან დაკავშირებული პრობლემები, რის გამოც ათი ათასობით ადამიანი ტოვებს საცხოვრებელს და მიემართება განვითარებული სახელმწიფოებისკენ. არსებული გამოწვევები კიდევ უფრო დაამძიმა სირიის მოვლენების შედეგად, რამაც ხელი შეუწყო მიგრანტთა რაოდენობის ზრდასა და ევროკრიზის პროვოცირებას, რამაც ევროპის ლიბერალურ და დემოკრატიულ პოლიტიკურ კურსს საფრთხე შეუქმნა.

<u>მეცნიერული სიახლე:</u> ნაშრომში დამუშავებულია პრობლემები:

- უცხო კულტურის გაზიარებისა და გათავისების პრობლემები;
- გენდერული პრობლემების გაზრება მიგრაციის ჭრილში;
- „ღია საზღვრების" პრობლემები;
- დონალ ტრამპის საგარეო პოლიტიკა მიგრაციის პრიზმაში;
- საქართველოს საიმიგრაციო და საემიგრაციო პრობლემები;

<u>კვლევის მიზანი და ამოცანები:</u> თანამედროვე მიგრაციული მოვლენების შესწავლა და ანალიზი. პროცესების გავლენა საქართველოზე. ნაშრომში საუბარია იმ საფრთხებზე, რომელიც შეიძლება მიგრაციამ გამოიწვიოს:

- ტერორიზმის საფრთხე;
- უკანონო მიგრაცია;
- ტრეფიკინგის საფრთხე;

<u>კვლევის საგანი:</u> ნაშრომში წარმოჩენილილია სამეცნიერო ლიტერატურის და ბულიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები.

<u>გამოყენებული მეთოდოლოგია:</u> კვლევისას გამოყენებულია თვისობრივი მეთოდოლოგია და აღწერილობითი მეთოდი, ასევე გამოყენებულია სტატისტიკური კვლევის მეთოდები და სოციალური მეთოდები.

<u>კვლევის თეორიულ საფუძველს:</u> წარმოადგენს უცხოელი და ქართველი მეცნიერების ნაშრომები, სახელმწიფო უნივერსიტეტების ანალიტიკური ნგარიშები, მსოფლიო პრაკტიკის ამსახველი წყაროები და სხვადასხვა საკანომდებლო და სამართლებრივი დოკუმენტები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და აღმასრულებელი ხელისუფლების ანალიტიკური მასალები.

თავი I. მიგრაციის გლობალური განზომილებები

1.1 მიგრაციის არსი, სახეები და ფაქტორები

XXI საუკუნეში აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხად იქცა მიგრაცია, რადგან მსოფლიოში დღითიდღე საგრძნობლად იზრდება მიგრანტთა რაოდენობა. არსებობს უსასრულო სია მიზეზებისა, რის გამოც ხდება ნებაყოფლობითი და იძულებითი გადადგილება სხვადასხვა სახელმწიფოში.

მიუხედავად საკითხის აქტუალურობისა და დიდი ინტერესისა, არ არსებობს სრულყოფილი განმარტება ტერმინისა, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლექსიკონში.

ტერმინი "მიგრანტი" ცნება დაუზუსტებელია, რაც გამოწვეულია საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური დოკუმენტების სიჭარბით და მრავალსახეობით, რაც რა თქმა უნდა ართულებს სტატუსის მინიჭებას.

განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

თვითონ სიტყვა **მიგრანტი: (Migration)** ლათინური სიტყვისგან მომდინარეობს, რაც ნიშნავს სამშობლოს ნებაყოფლობით დატოვებას უკეთესი პირობებისთვის.

ლტოლვილი: მიიჩნევა ის ადამიანი, რომელიც მიმართავს სხვა ქვეყანას შემწეობისა და მფარველობისთვის, პირები, რომლებიც შევიწროებულები არიან საკუთარ ქვეყანაში და საფრთხე ექმნება მათ სიცოცხლეს, მაგალითად: აგრესიისა და უცხოური ოკუპაციის თვალსაზრისით.

დევნილი: ქვეყნის მოქალაქე, რომელიც იძულებული გახდა შიდა კონფილქტების, უცხო ქვეყნის აგრესიის, ან ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილები და გადაადგილებულიყო ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე.

საკმაოდ რთულია მიგრაციის ერთ კონტექსტში გააზრება, რადგან იგი ყველა სფეროს მოიცავს. მიგრაცია განიხილება საერთაშორისო ფენომენად და იგი მრავალი კონვენციის შეთანხმებების, რეგულირების საგანი გახლავთ.

მოკლევადიანი მიგრანტი – პირი, რომელიც მიემგზავრება ჩვეული ბინადრობის ქვეყნიდან განსხვავებულ ქვეყანაში სულ მცირე სამი თვით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ქვეყანაში მგზავრობის მიზანია დასვენება, შვებულების გატარება, მეგობრების ან ნათესავების მონახულება, სამსახურებრივი საჭიროება ან მკურნალობა. საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის მიზნებით, მოკლევადიან მიგრანტთა ჩვეული ბინადრობის ქვეყანა ითვლება დანიშნულების ქვეყნად მათი იქ ყოფნის პერიოდში.

კვალიფიცირებული მიგრანტი – შრომითი მიგრანტი, რომელიც თავისი უნარ-ჩვევების გამო ექვემდებარება მიმღებ ქვეყანაში დაშვების გამარტივებულ პროცედურებს (და ასევე, მასზე ვრცელდება ნაკლები 83 შეზღუდვები ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობის მხრივ, სამუშაო ადგილის შეცვლისას და ოჯახის გაერთიანებისას).

მაგალითისთვის განვიხილოთ **შრომითი მიგრაცია**, როცა ტოვებენ თავიან სამშობლოს, კომფორტის ზონას და მიიწევენ ახალი სამყაროსკენ. რა თქმა უნდა, დიდია რისკიც, მაგრამ გამართლების შემთხვევაში არა მარტო მიგრანტი, არამედ მისი ოჯახი და სახელმწიფოც კი მოგებულია, იგულისხმება მიგრანტთა გზავნილები ვალუტის სახით.

გზავნილები დიდ გავლენას ახდენს დონორი სახელმწიფოების განვითარებაზე, მაგრამ აღნიშნული ამანათები ძირითადად იხარჯება პირადი მიზნებისთვის და არა სახელმწიფოს სამრეწველო პროექტების განვითარებითვის. ამ ყველაფერმა შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური შოკი, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ - იემენი და იორდანია, სპარსეთის ყურეში ომისას მიგრანტები უკან გამოაძევეს.

მოქალაქეობის არ მქონე პირი: პირი, რომელსაც არ აღიარებს თავის მოქალაქედ არცერთი სახელმწიფო თავისი კანონმდებლობიდან გამომდინარე.

არსებობს მიგრანტის ორი მნიშვნელოვანი სახეობა :

იძულებით გადადგილებული პირები- თვითონ ტერმინი ნათლად გვიჩვენებს, რომ გადადგილებული პირები საფრთხის ქვეშ არიან. საფრთხე შეიძლება გამოწვეული იყოს ადამიანური (man- made) მიზეზით ან ბუნებრივით, იგულისხმება:

ლტოლივლები, კონფლიქტები, ეკოლოგიური, პოლიტიკური არეულობა, შიმშილობა, დაძაბულობა, დევნა, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღით გამოწვეული კატასტროფები და ა.შ.

ნებაყოფლობითი მიგრაცია- კეთილდღეობის მაძიებლები, რომელთაც თავიანთი ამბიციებისა და ოცნებების ახდენა სხვა სახელმწიფოში ესახებათ. ამ დროს გადადგილება ნებაყოფლობითი გახლავთ, რომელიც მზარდი ტემპით მიმდინარეობს.

იძულებითი მიგრაცია- როდესაც მილიონობით ადამიანი იძულებულია დატოვოს სამშობლო და თავი შეაფაროს სხვა ქვეყანას, რომლის მიზეზი და ხანგრძლოვობა მრავალფეროვანია.

მიზეზი შეიძლება იყოს შეიარაღებული კონფლიქტი, ძალადობა, სამოქალაქო ომი, დევნა რასიზმი, შეხედულებების, სექსუალური ორიენტაციისა და რელიგიური ფაქტორების გამო.

დაპირიპირება, შუღლი და სეპატარისტული კონფლიქტები ადამიანს უბიძგებს სამშობლოდან გადახვეწისკენ.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მონაცემით, მსოფლიოში იძულებით გადადგილებული 44 მილიონი ადამიანია. აქედან იძულებით გადადგილებულთა რიცხვი 27,5 მილიონია, ხოლო ტოლვილი კი- 15, 4 მილიონი, ასევე უნდა აღინიშნოს 12 მილიონი მოქალაქეობის არ მქონე პირი, მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია. 2004 წლის მონაცემებით მათ შესახებ ინფორმაციას 30 ქვეყანა აქვეყნებდა.

ერთ-ერთი პირველი, რომელიც მიგრანტის განმარტების მცდელობას გვაძლევს გახლავთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია" მიგრაცია დასაქმების მიზნით", რაც განმარტებულია მე -11 მუხლში .

მიგრაციის პირველ სახედ მოიაზრება შიდა მიგრაცია, როცა გადადგილება ხდება უკეთესი პირობებისთვის-ეკოლოგია, კონფლიქტები და ა.შ. ხოლო საერთაშორისო საზღვრების გადაკვეთა განპირობებული გახლავთ სავაჭრო უსაფრთხოების, დევნის, ტერორიზის, შევიწროების და უკეთესი სამუშაო პირობების გამო.

21-ე საუკუნე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში სხვადასხვა გამოწვევებით ხასიათდება. გასული საუკუნიდან საერთაშორისო არენაზე ბევრი პრობლემა მოგყვება, როგორიცაა, სეპარატიზმის, ტერორიზმი, ბუნებრივი კატაკლიზმები- (დაზარალებულებს მოიხსენიებენ ეკომიგრანტებად), გლობალური დათბობა და ამ მიზეზით გამოწვეული გადადგილებები, მაგრამ ყველაზე ტრაგიკული დროში გაწელილი სისხლიანი არასაერთაშორისო და საერთაშორისო კონფლიქტებია. ამის ნათელ მაგალიად კი სირის მოვლენები შეიძება მივიჩნიოთ.

ლტოლვილებმა, რომლებიც მიილტვიან ჰუმანიტარული დახმარებისკენ პრაკტიკულად ევროპის პარალიზება გამოიწვია.

დღეს შეუძებელია რუქაზე ისეთი სახელმწიფოს პოვნა, რომელსაც მიგრაციის პრობლემა არ აწუხებდეს, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი ოცდათხუტმეტი ადამიანიდან ერთერთი საერთაშორისო მიგრანტი გახლავთ. დონორი ქვეყნებისთვის მეტად სავალალოა "**ტვინების გადინება**", რა თქმა უნდა, მსოფლიო ბაზარზე ყოველთვის დიდია კვალიფიკაციური კადრისა ინტერესი, პერსპექტიული ეთუზიასტი ახალგაზრდების გადინება ქვეყნიდან მის ეკონომიკას კიდევ უფრო დაბლა სწევს, ამ ყველაფერს ემატება დემოგრაფიული პრობლემება, იზრდება ბავშვთა და მოხუცთა ხვედრითი წილი. რეპროდუქციული ახალგაზრდების გადინება მაშინაა მომგებიანი, თუ ქვეყანაში დიდია შობადობა, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჩინეთი, მაგრამ თუ შობადობის მაჩვენებელი ნაკლებია, ამან შეიძლება სავალალო შედეგებამდეც მიგვიყვანოს, ამის ნათელი მაგალითია საფრანგეთი, როცა

ქვეყანაში არაბი და ალჟირელი მოსახლეობის რაოდენობა აღემატება ფრანგების რიცხვს.

მიმღები ქვეყნების დიდი რაოდენობა სელექციური პრინციპით არჩევს მიგრანტებს, დიდი ყურადღება ეთმობა, თუ რა გამოცდილება აქვთ, რომ გადამზადებაში არ დახარჯონ თანხა და ენერგია.

ზოგადად მიგრანტები მძიმე ჯვარიცაა დონორი სახელმწიფოებისთვის, რადგან იტვირთება საზოგადოებრივი სკოლები, დიდია ხარჯები ეკოლოგიაზე, თავდაცვაზე, უსაფრთხოებაზე და ა. შ, გაორმაგებულია მოთხოვნა, რაც თავისთავად აისახება ქვეყანაზე.

უნდა აღინიშნოს **სოციალურ ეფექტი,** სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტები დიდი "შემოსავლებით" და ავტორიტეთით გამოირჩევიან, მათ ასევე შემოაქვთ სიახლეები ახალი კულტურიდან.

საზოგადოების ნაწილის ემიგრაციაში გადახვეწა თავისებურად ჩრდილს აყენებს ეროვნულ სიამაყეს, მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ აზერბაიჯანის მოსახლეობა, როცა სამუშაოდ წასული მამაკაცები გადახვეწილები არიან სამუშაოდ რუსეთში, საბოლოო ჯამში ხდება მათი სოციალური დეფორმაცია, რის შედეგადაც იკარგება მათი ტრადიცია და ზნე-ჩვეულებები. სახელმწიფოსთვის არცთუ ისე სახარბიელოა, თუ იმედგაცრუებული მიგრანტი უბრუნდება დედასამშობლოს, ვერ მოახერხეს საკუთარი თავის წარმოჩენა და ადაპტირება.

ჯერ კიდევ "ერთა ლიგის" 1919 წელს, პრეამბულაში ხაზგასმით არის აღნიშნული „მუშათა ინტერესების დაცვა, რომლებიც დასაქმებულნი არიან არა მშობლიურ ქვეყაში.“

ტერმინი „მიგრანტი“ საერთაშორისო სამართლის კონტექსტში გამოყენებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ნასიცტების მიერი იქნა იძულებით, ძალისმიერი მეთოდებით.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებში არსებობს უამრავი სამართლებრივი ნორმა, რომელიც იცავს და განამტკიცებს მიგრანტთა

უფლებებს. ამ საკითხში აქტიურადაა ჩართული გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მუდმივად მიმდინარეობს სამართლებრივი ნორმების დახვეწა და მასზე მუშაობა. ასევე დიდი ყურადღება ეთმობა არა მარტო მიგრანტებს, არამედ მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვას. 1990 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო საერთაშორისო კონვერნცია მიგრანტი მუშებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების შესახებ (ICRMW), თუმცა ის რეალურად აღსრულებაში მოვიდა 13 წლის შემდეგ - 2003 წლის 1 ივლისს. ამ კონვენციით ტერმინი გააზრებული იყო შემდეგნაირად: მუშა მიგრანტი არის პირი, რომელიც ჩაერთო ან აპირებს ჩართვას ანაზღაურებად საქამიანობაში იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქედაც იგი არ არის მიჩნეული.

2015 წლის 12 თებერვალს გაერომ მიიღო რეზოლუცია „მიგრანტთა დაცვა", სადაც საუბარია გაეროს ეგიდით მხარდაჭერაზე მიგრანტების მიმართ, რომ დაცული იყოს მათი ფუნდამენტალური უფლებები, მათი სტატუსის მიუხედავად. გაერთანებული ერების ორგანიზაცია სახელმწიფოებსაც იმავეს მოუწოდებს.

ცნობილია, რომ მიგრანტებისგან შრომითი დასაქმებით მიღებული თანხები თავიანთი შემოსავლიანობით სერიოზულ კონკურენციას უწევს ნავთობისა და ნარკოტიკების ბიზნესს, იგი მესამე პოზიციაზე განიხილება, მაგრამ ეს ყველაფერი რა თქმა უნდა განიხილება „ჩრდილოვანი ეკონომიკის" სფეროში. 2003 წლის მონაცემებით მსოფლიო ფულადმა გადარიცხვებმა 93 მილიარდს მიაღწია, რაც 20 %-ით აღემატება 2011 წლის მსოფლიო მონაცემებს, რომელიც მხოლოდ ნედლი ნავთობის გაყიდვებით მიღებულ შემოსავლებს ჩამოუვარდება. [1]

[1] http://www.demoscope.ru/weekly/2008/0339/analit01.php

1.2 გენდერი და საერთაშორისო მიგრაცია

თანამედროვეობაში მიგრაციულ პროცესებში გენდერის როლი უმნიშვნელოვანესია, აღნიშნულ პრობლემაზე ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო მსოფლიოს მაშტაბით.

გლობალიზაციის ერაში თანამედროვე ქალი უფრო აქტიური და თავისუფალი გახდა. იგი არ უშინდება ახალ გამოწვევებს და ცდილობს თავის განვითარებას უცხო მიწაწყალზე, ფინანსურად დამოუკიდებლობის მიღწევას და განათლების მიღებას.

მიგრაციაში ტრადიციულად ჭარბობენ მამაკაცები, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში ქალები გახდნენ დომინანტები, ამ პროცეს მიგრაციის ფემინიზაციასაც კი უწოდებენ. პროცესს თან ახალვს უდიდესი ტრაგედია, დედის გარეშე დარჩენილი შვილები, რომლებიც ტრამვირებულები იზრდებიან.

„წითელი იმპერიის" დაშლის შემდეგ შრომითი მიგრაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიად იქცა პოსტსაბჭოთა მოქალაქეებისთვის სიდუხჭირესთან საბრძოლელად. ჩვენ გავხდით მოწმენი მიგრაციის გავლენით უცხური ვალუტის ჭარბი შემოდინების. ტრადიციულ მიგრაციაში დომინირებენ მამაკაცები, ვიდრე ქალბატონები, მაგრამ ფაქტია, რომ მოვლენები შეიცვალა და მეტი წილი ქალბატონებზე მოდის.

ლეგალური მიგრაცია - მოძრაობა ხდება გამცემი და მიმღები ქვეყნების დადგენილი რეგულაციებისა და წესების მიხედვით, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ სრულყოფილად დაცული იქნება ადამიანი, უკანონო მიგრაციასთან შედარებით. ლეგალურ მიგრაციას თან ახლავს სხვადასხვა ფორმალობები, რომელიც დიდ თანხებთანაც არის დაკავშირებული, რისი შესაძლებლობაც ბევრს რა თქმა უნდა არ აქვს.

არარეგულარული მიგრანტები, უსაბუთო მიგრანტები (sans -papiers) - პირები, რომლებიც იმყოფებიან ბინადრების ნებართვის გარეშე, ან უკანონოდ გადაკვეთეს საზღვარი ან კანონიერად ქვეყანაში ყოფნის დროს საბუთებს ვადა გაუვიდა, ასევე პირები, რომლებიც ანადგურებენ თავინთ პირადობის

დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომ გართულდეს მათი იდენტიფიკაცია. მათ ასევე უარის თქმა უწევთ ახალ ქვეყანაში პენსიაზე და სოციალურ დაზღვევაზე.

არალეგარული მიგრაცია საზოგადოების მხრიდან ხშირად განიხილება, როგორც საშიშ ფენომენად, რომელიც ასოცირდება ექსტრემიზმთან, ძალადობასთან დანაშაულის ზრდასთან, მიწისა და საცხოვრებლის სიმცირის გამომწვევ მიზეზად ეს ყველაფერი კი ხშირად ავითარებს ე.წ „მიგრანტოფობიას", მიგრანტები კი ხშირად აწყდებიან ადგილობრივ ფანატიკოსებს, რადიკალებს.

ფრინველების მსგავსად ადამიანებიც გადადგილდებიან უკეთესი პირობებისთვის, მაგრამ არა კლიმატისთვის, ჩიტებისგან განსხვავებით, მიგრაციის მიზეზად შეიძლება განიხილოთ: მომავლის შიში, პოლიტიკური შევიწროება და დევნა, უკეთესი განათლების მიღების სურვილი, მაგრამ ყველასათვის ნათელია, რომ ძირითადი მიზეზი მაინც ეკონომიკური მიზეზი გახლავთ, კერძოდ ოჯახის სარჩენად წასული მდედრები.

სამშობლოდან გადახვეწა, მიგრაცია ყოველთვის ასოცირდება უკეთეს პირობებთან, კარგ ანაზღაურებასა და სიდუხჭირისგან თავის დაღწევასთან, მაგრამ რეალობა კიდევ უფრო სასტიკია, რადგან ირღვევა მათი უფლებები, განსაკუთრებით მაშინ, თუ არალეგალის იარლიყი გაქვს მიკრული, ხშირად ქალები არიან ძალადობის მსხვერპლნი, ტრეფიკინგი და პროსტიტუცია აღნიშნული პრობლემისა განუყოფელი ნაწილად იქცევა ხოლმე.

ტრეფიკინგი- უკანონო მიგრაციის ნაირსახეობაა, რომელიც გულისხმობს ადამიანის ყიდვა-გაყიდვას, რასაც ძირითადად უკანონო ფორმებით ხორციელდებაა: ძალადობა, შანტაჟი, თაღლითობა, მოტაცება და ა.შ, რაც კიდევ უფრო ართულებს სტატისტიკის წარმოებას.

ტრეფიკინგის მსხვერპლნი ძირითადად ქალბატონები და ბავშვები არიან, რაც სექსუალურ მომსახურებას გულისხმობს, მართალია, ტრეფიკინგი დასჯადი დანაშაულია, მაგრამ უამრავი ადამიანი იზიარებს ამ ბედს.

ქალებს სთავაზობენ დაბალ თარნიგიან სამსახურს და ანაზღაურება კი დაბალი აქვთ.

დღევანდელ რეალობაში ხშირად გაიგონებთ ფრაზას: "ქალი არჩენს მთელ ოჯახს", ისინი იღებენ პასუხისმგებლობას თავიანთ თავზე და ხდებიან დომინანტები ოჯახიდან გადახვეწის ფასად.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ცხოვრების დონის ამაღლებაზე რაც გულისხმობს მაღალ მწარმეობლობას, კერძოდ ბევრ სამუშაო ადგილს, კარგ ანაზღაურებას და შედეგად მივიღებთ გენდერულ თანასწორობასა და ნაკლებ მიგრანტს სამუშაო ბაზარზე.

მოსახლეობის აღწერის 2014 წლის მონაცემებით ჩვენი რაოდენობა შეადგენს 37 785 ადამიანს, არაოფიციალური სტატისტიკის მიხედვით მიგრანტთა რაოდენობა აღწევს 1 607 744 -ს, პროცენტული მაჩვენებლით კი აქედან 57 % ქალბატონია. [2]

ქალების სოციალიზაცია საშინაო საქმეებზე განვითარებად ქვეყნებში ჯერ კიდევ დიდია, გარე შრომის ბაზარზეც კი - ისინი ძირითადად საქმდებიან მოხუცის მომვლელებად, ძიძებად და დამლაგებლებლად. ამ შემთხვევაში მათ არ მოეთხოვებათ განსაკუთრებული განათლება, შეიძლება ითქვას, რომ შრომით ბაზარზე ქალი ყიდის თანდაყოლილ თვისებას, რომელიც ბუნებამ უბოძა-ზრუნვას.

ქალთა მიგრაციის გააზრება ფემინისტური ფილოსოფიის მიხედვით ეკონომიკურ ჭრილში განიხილება, როგორც ქალთა თავისუფალი არჩევანი და ცდილობს ამით შემსუბუქდეს არსებული მონაცემები სტატისტიკისა. მაგრამ თუ გადავავლებთ თვალს უახლეს ისტორიას დავინახავთ, რომ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ქალს არჩევანი საერთოდ არ აქვს.

საკამოდ საინტერესო სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის შექმნა შეგვიძლია, რომელიც ნათლად დაგვანახებს მიგრაციის მასშტაბებს შავი ოქროთი მდიდარ სახელმწიფოებში. არაბთა გაერთიანებულ საემიროებში

[2] https://emc.org.ge/ka/products/umaghlesi-ganatleba-rogorts-sabazro-produkti

მაღალი იმიგრაცია ძირითადად მამაკაცების მეტი წილით გამოიხატება, რადგან ნავთობმომპოვებელ სახელწიფოს სჭირდება მამრი მუშახელი, ქალთა შრომის ბაზარი არ არის მიმზიდველი არაბულ სახელმწიფიოებში, რადგან არ არის მოთხოვნა მათ ჯაფაზე, მდედრობითი სქესის ნამატი გულისხმობს სამუშაოს მაძიებელი მამაკაცების ცოლებს, რომლებიც მეუღლეებს გამოჰყვნენ.

სამწუხარო რეალობა გახლავთ, რომ ქალების შრომა ნაკლებად ანაზღაურებადი და დაუფასებელია მამაკაცის შრომასთან შედარებით, როცა ამ ყველაფერს თანახლავს სექსუალური ექსპლატაცია და შევიწოება.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად 2-4 მილიონ ადამინს შეადგენს, ხოლო აქედან პროცენტულად 70% ქალები და ბავშვები არიან. ტრეფიკინგთან ბრძოლა საკმაოდ რთულია, იქედან გამომდინარე, რომ რეალური მონაცემები მსხვერპლის შესახებ არ არსებობს, რადგან დაზარელებულები არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან.

წარსულში ისჯებოდნენ ტრეფიკინგის რეალიზატორები და მსხვერპლნიც, თუმცა თანამედროვეობაში ყველაფერი შეიცვალა, პირიქით, ტრეფიკინგის მსხვერპლი თავისუფლდება ვალდებულებებისგან და კონპესაციის სახით სახელმწიფო თანხასაც კი აძლევს.

თავი II. გლობალური მიგრაციის კრიზისი: გამოწვევები საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით

2.1 ლტოლვილთა ნაკადები ევროპაში: ღია საზღვრის პოლიტიკა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპას მიგრანტთა დიდმა ტალღამ დაარტყა, ამ მაჩვენებელს კი აგვიტოს მოვლენების შემდეგ ბევრად გადააჭარბა. სირიის კონფლიქტმა ევროპას თავსატეხი გაუჩინა მიგრანტების სახით. დასავლეთი ამისთვის მზად არ აღმოჩნდა, ეს მიმდინარე მოვლენებმა ნათლად დაგვანახა.

სირიის კონფლიქტი 2011 წელს დაიწყო, ამ მოვლენებს მსოფლიო " არაბული გაზაფხულის" სახელით იცნობს. გაუგებრობა დაიწყო 15 მოსწავლის დაპატიმრებით-წამებით, რასაც მოსახლეობის მხრიდან პროტესტი მოჰყვა (არასრულწოვნებმა ანტისახემწიფოებრივი გრაფიტებით მოხატეს ქალაქი, სახელმწიფოს მხრიდან კი შესაბამისი აგრესიული რეაქცია მოჰყვა), მშვიდობიან დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს და შედეგად ოთხი ადამიანი გარდაიცვალა, კონფლიქტი გაამძაფრა იმ ფაქტმა, რომ მგლოვიარეებს, რომლებიც მიცვალებულებს კრძალავდნენ, სირის სამთავრობო ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს, რასაც კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. სირის მოსახლეობა შეძრა მოვლენებმა და მოითხოვდნენ ასადის გადადგომას, საბოლოოდ კი ეს ყველაფერი სამოქალაქო ომში გადაიზარდა.[3]

2012 წელს გაერომ სირიის მოვლენები შეაფასა, როგორც სამოქალაქო ომი,კონფლიქტში მოხდა ზესახელმწიფოების ჩარევა (sqolio) - აშშ-ს, რუსეთის, ირანის, და საუდის არაბეთის, პოლიტიკურმა და ფინანსურმა დახმარებამ მოვლენები კიდევ უფრო დაამძიმა, ყველაფერს თან ერთვოდა სხვადასხვა

[3] https://1tv.ge/news/ratom-daitsyo-omi-siriashi-yvelaferi-rats-unda-itsodet/

ჯიჰადისტური მოძრაობების აღმოცენება, რაც აღნიშნულ მოვლენებს კიდე უფრო ანარქიულს და უმართვას ხდიდა.

2015 წელს რუსეთი ღიად აცხადებდა მხარდაჭერას ასადის ანტიდემოკრატიულ სახელმწიფოს მიმართ, კერძოდ იმას, რომ ებრძოდნენ ტერორისტულ, ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს. ობამას პოლიტიკა კი სრულიად განსხვავდებოდა რუსების შეხედულებისგან, ამერიკელები თვლიდნენ, რომ ასადის მართველობა არადემოკრატიული და არადამიანური გახლდათ და მხოლოდ მისი გადადგომით გადაიჭრებოდა პრობლემა.

სრულიად განსხვავდება ტრამპის საგარეო პოლიტიკა, იგი ორიენტირებულია "ისლამურ სახელმწიფოზე", თუმცა 2017 წლის ქიმიურმა თავდასხმამ ტრამპის პოზიციის მანევრირება გამოიწვია, იგი ასადის პოლიტიკას მხარდაჭერას უცხადებდა. სირიაში მთავარ მოთამაშედ გვევლინება რუსეთი, რომელსაც სამხედრო ბაზები ჰყავს განლაგებული, იგი არ თმობს პოზიციებს, სადათის მთავარ მოკავშირედ ასევე გვევლინება შიიტური ირანი, რადგან თავიანთ თანამებრძოლ "ჰესბოლას" მეომრებს ამაგრებენ.

გაეროს მონაცემებით სიირის კონფლიქტს შეეწირა 90 ათასი ადამიანი, ხოლო 12 მილიონამდე ადამიანი იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო, რამაც ევროპას დიდი განსაცდელი მოუვლინა. [4]

2015 წლის მონაცემებით 9 თვეში ევროპის საზღვარი გადაკვეთა 710 ათას მიგრანტზე მეტმა, ძირითადი დატვირთვა მოდიოდა : იტალიასა, მალტასა და საბერძნეთზე.

საბერძნეთს საზღვარს ყოველკვირეულად 9000 მიგრანტი ადგება, რადგან ეს ქვეყანა გეოგრაფიულად აზიიდან წამოსული ხალხის კარიბჭეა, რაც ნათლად მიუთთებს კრიზისულ პერიოდზე, საბოლოოდ მიგრანტთა რაოდენობამ მილიონს მიაღწია.

2015 წელს ბრიუსელში გაიმართა საგანგებო სამიტი, სადაც განიხილებოდა ეს პრობლემა .

[4] https://imedinews.ge/ge/theme/232/rogor-daitsko-omi-siriashi-da-vin-vis-ebrdzvis

ბალკანეთის ქვეყნებმა ამოწურეს თავიანთი რესურსები, ისინი ღიად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, რომ არ უნდათ ბუფერულ სახელმწიფოდ იქცნენ მიგრანტებისთვის.

ამ შეხვედრას ესწრებოდა ევროკავშირის 10 სახელმწიფოს ლიდერი, სადაც გადაწყდა, ლტოლვილთა მიმღები ცენტრის გაფართოება, რაც გულისხმობდა დამატებით 100 ათას ადამიანის შეფარებას, განსაკუთრებით კი ბალკანეთში.

2016 წელს თურქეთსა და ევროკავშირს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თურქეთი აიღებდა ვალდებულებას, რომ შეეჩერებინა უკანონო მიგრანტების ნაკადი ევროპისკენ, სანაცვლოდ კი 3 მილიარდი ევრო ჩაერიცხებოდა დახმარების სახით და დაწესდებოდა უვიზო მიმოსვლა ევროპის ქვეყნებთან.

გაეროს ლტოლვილთა კომიტეტმა განაცხადა, რომ შექმნიდა 20 ათასი კაცისთვის განკუთვნილ თავშესაფარს და გაერო აიღებდა პასუხისმგებლობას ,რათა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე გახსნილიყო მიმღები ცენტრრები, რომელიც მთლიანიბაში 50 ათას ადამიანს დაიტევდა.

მიგრანტები მიილტვიან გერმანიასა და შვედეთისკენ, რადგან დიდია გაცემული თანხა მათდამი- 231 ევრო გერმანიაში, შვედეთში კი 271 ევრო გახლავთ.

ამერიკის პრეზიდენტი არა მხოლოდ ეწინაღმდეგება ღია საზღვრის პოლიტიკას იგი ამბობს, რომ ვინც წლების განმავლობაში იღებდა მიგრანტებს , ისინი დღეს სიამოვნებით შეცვლიდნენ თავიანთ გადაწყვეტილაბას.[5]

გერმანიის კანცლერი ფრაუ ანგელა ანცხადებდა, რომ ეს არის უდიდესი გამოცდა ევროპისთვის, რომელიც წარმატებით უნდა ჩააბაროს. უნდა აღინიშნოს, რომ კლაუს ზებგერსი- აღმოსავლეთ ევროპის კვლევითი ინსტიტუის პროფესორი გვაფიქრებს ახლო მომავალზე, რომ წინ გველის ევროკრიზისი, რომ რთული იქნება განსხვავებული მენტალობის და რელიგიის

[5] https://www.interpressnews.ge/ka/article/517885-donald-trampi-daakvirdit-ra-daemarta-evropas-sruli-domxali/

მქონე ადამიანებს შორის თანაცხოვრება, ამ ყველაფერს თან ახლავს მემარჯვენე პარტიის კატეგორიული წინაღმდეგობა.

მსოფლიო შეძრა აგვისტოს მოვლენებმა, როცა ლიიბის სანაპიროზე ჩაიძირა მიგრანტებით სავსე ნავი- დაიღუპა 7 ადამიანი, საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო-"როიტერის " თანახმად იანვრის მონაცემებით 2500 ადამიანი დაიღუპა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა, გააკეთა განცხადება, როცა თურქეთს სანაპიროზე სირიელი ბავშვების დაღუპვის ფაქტი გახმაურდა: მან აღნიშნა, რომ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა კეთილსინდისიერად არ ასრულებს ვალდებულებებს, რომ ევროპა პრინციპების ერთობლიობაა, რომ მეტი მოეთხოვებათ სახელმწიფოს ლიდერებს.

2018 წლის მონაცემით მიგრანტთა რაოდენობა 16% შემცირდა, თავშესაფრის მოთხოვნით 185 ათასმა ადამიანმა მიმართა შესაბამის უწყობებს.

აქვე ავღნიშნავ, რომ თურქეთი ცდილობდა ეს მოვლენები სათავისოდ გამოეყენებინა, იგი კარს გაუღებდა ლტოლვილებს, თუმცა უკვე 2.5 მლნ მცხოვრები უკვე თავად ჰყავს, მხოლოდ იმიტომ რომ ეს "კეთილშობილური" სვლა მას კარს გაუღებდა შენგენის ზონაში.

საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) - ის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა ევროპაში მიგრაციისა, 2018 წლის დასაწყისიდან 25 ივლისამდე ხემლთაშუაზღვის გადაკვეთის მცდელობისას 1,504 მიგრანტი გარდაიცვალა.

2018 წლის იანვრიდან 25 ივლისის ჩათვლით ევროპამ ზღვის გავლით 55,001 მიგრანტი მიიღო.

ევროპის მთავარ საფიქრელად იქცა, როგორ ებრძოლოს კრიმინალს, ძალადობასა და ტერორიზმს ,რომელიც მიგრანტებმა გამოიწვის.

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტირ, ჰორსტ ზიჰოფერის განცხადებით, ისლამის ადგილი მათ სახელმწიფოში არ გახლავთ, ამით იგი გერმანიის ყოფილი პრეზიდენტის კრისტიან ვულფის განცხადებას გამოეხმაურა, რომ ისლამი გერმანიის ნაწილია.

მინისტრის მესიჯი ასეთი გახლდათ: "მუსლიმებმა უნდა იცხოვრონ ჩვენთან ერთად და არა ჩვენს გვერდით ან ჩვენს წინაღმდეგ." [6]

გერმანის მთავარი მიზანი გახლავთ ევროპის უსაფრთხოება და თავშესაფრის მაძიებლების უკან გაბრუნება, რათა შემცირდეს დანაშაული დასავლეთში.

რეგისტრირებულ ლტოლვილებს ხელი მიუწვდებათ განათლებასა და ჯანდაცვაზე, მაგრამ ისინი აწყდებიან რიგ პრობლემებს, ერთ-ერთი ენობრიი ბარიერია.

გაეროს 2015 მონაცემით მსოფლიოს მასშტაბით 244 მილიონი იმიგრანტი და 21 მილიონი ლტოლვილი გახლავთ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სამწუხაროდ გაიზრდება ლტოლვილთა რაოდენობა და მიზეზად სახელდება კლიმატური ცვლილებები.

უნგრეთმა მიმართა უკიდურეს ზომებს და 2018 წლის ივნისში მიიღო კანონი, რომელიც გულისხმობს არაკომერციული ორგანიზაციების სისხლის სამართლებრივი დევნას, რომლებიც არალეგალების დაეხმარებიან თავშესაფრის მიღებაში, უნგრეთის მოსახლეობამ 10 მილიონს მიაღწია, ხოლო დევნილთა რაოდენობა 3000-ს აღწევს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოების საკითხს, მიგრანტების ჭარბად შედინებამ გაზარდა დანაშაულისა და ტერორისტული აქტების რაოდენობა, აქტიურად არიან დასაქმებულები კონტრაბანდისტები, რომლებიც მარტივად ხვდებიან ევროპაში. პრობლემის გაუმჯობესება ვერ მოხდა ვერც საკონსულოებში ვიზის გამკაცრებით, პრობლემა გლობალური გახლდათ. მარტო ევროპის კონტინეტზე არ ცდილობს შეხწევას პილიტიკური დევნილები და უმცირესობის წარმომადგენლები, არამედ ყველა ის ადამიანი ვისაც შანსი მიეცა უკეთესი პირობების, ყველა მიილტვის იმ ილუზიისკენ, რასაც საკუთარი ქვეყანა ვერ აძლევს.

[6] http://www.tabula.ge/ge/story/130821-germaniis-shinagan-saqmeta-ministri-qvekanashi-islamis-adgili-ar-aris

იქმნება სხვადასხვა ორგანიზაციები გერმანიის მთავრობის ეგიდით „REAG/GARP – Reintegration and Emigration Programme for Asylum-Seekers in Germany (REAG); Government Assisted Repatriation Programme (GARP)“ , რომელბიც ეხმარებიან ემიგრანტებს, უქმნიან შესაფერის პირობებს, რომ დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში. პროგრამის ეფექტურობის წყალობით 2016 წლის მონაცემით სამშობლოს დაუბრუნდა 54 000 ადამიანი.

გერმანიაში გადახვეწილი სირიელები უბრუნდებიან სამშობლოს, რადგან ევროპამ იმედები ვერ გაამართლა და ზესახემწიფო ამერიკამაც კონფლიქტი დასრულებულად გამაოცხადა და იკვე შეუძლიათ სამშობლოში ცხოვრება.

2.2 უცხოური კულტურის გათავისება და კულტურათაშორისი კონტაქტის პრობლემები

კულტურული შოკი, მსოფლიოსთვის და განსაკუთრებით ევროპისთვის დაიწყო XII- XVII სსში. სწორედ ამ ეპოქაში მოხდა ძირეული ცვლილებები ევროპელთა გონებაში კულტურაში, მეცნიერებასა და ფილოსოფიაში, თუმცა კაცობრიობას მუდმივად ჰქონდა ინტერესი ახალი კულტურის მიმართ, ამის ნათელ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ: ვასკო და გამა, მაგელანი, ამერიგო ვესპუჩი და ა.შ.

გლობალიზაციის ერაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურათაშორის ურთიერთობებს, მსოფლიოში მარტივად გადადგილება სხვადასხვა ქვეყნების დახლოების ახალ შესაძლებლობებს გვიშლის თვალწინ. ღია საზღვრების პოლიტიკამ იქამდე მიგვიყვან, რომ მიგრანტებიერთ სოციუმში ცხოვრობენ, თუმცა არის შემთხვევები, როცა მიგრანტს უჭირს მლტიკულტურულ სამყაროში ყოფნა.

მე-20 საუკუნის შუა ხანებში გერმანელი მეცნიერი, ამერიკული ანთროპოლიგიის მამად წოდებულ -ფრანც ბოასი და მისი მოწაფეები აღნიშნავდნენ, რომ მეცნიერები მოხლოდ დიდ "აისბერგად" წოდებული კულტურების შეწავლით იყვნენ დაკავებულები, რომლის ეტალონადაც ევროპული ცივილიზაცია ითვლეობდა, საკუთარ კულტურას აკვირდებოდნენ გამადიდებელი შუშით, მაგრამ თანამედროვე სამყარომ კაცობრიობას მოუტანა ეთნორელანტივიზმი- კულტურათა თანაბარმნიშვნელობა.[9]

გლობალიზაციის ერაში გარდაუვალი მოვლენაა ახალ კულტურასა და მოვლენებთან ადაპტირება. ასეთ სიტუაციაში ძირითადად ხვდებიან: ტურისტები, ბიზნესმენები, მეცნიერები, სტუდენტები, მისიონერები, დიპლომატები და რა თქმა უნდა ემიგრანტები.

მეცნიერებაში გაჩნდა ახალი ტერმინი - აკულტურაცია, რაც გულისხმობს სხვადასხვა კულტურების ურთიერთ ზეგავლენას, შერწყმასა და შედეგებს.

აკულტურაციისას ადამიანები ცდილობენ შეინარჩუნონ თავინათი მენტალობა და კულტურა, მაგრამ ასევე ცდილობენ ახლის გათავისებასაც.

მეცნიერები გამოყოფენ აკულტურაციის ოთხ ძირითად სახეს ესენია:

ასიმილაცია- როცა პერსონა მთლიანად ღებულობს სხვა კულტურას, ღირებულებებს და ფასეულობებს და უარს ამბობს თავის მემკვიდროებაზე;

სეპარაცია- სხვისი კულტურის უარყოფა თავისი მემკვიდრეობის ფონზე;

ინტეგრაცია- შერწყმა თავისა და ახალ კულტურასთან ;

მარგინალიზაცია- როცა პერსონა კარგავს თავის ღირებულებებს ფასეულობებს, მაგრამ დიდ სურვილს არ ამჟღავნებს სხვა კულტურის მიმართ;

ემიგრანტები, ძირითადად მუდმივად საცხოვრებელი ადგილისთვის მიილტვიან, ისინი ადვილად ახერხებენ ადაპტაციას, ხდება ასიმილაცია, ასევე თუ ამ ყველაფერს ახლავს ეკონომიკური სიდუხჭირე, ადვილად ორიენტირედებიან განათლების მოწყურებული სტუდენტები.

რთულად დგას საკითხი ლტოლვილების შემთხვევაში, რადგან იძულებით ხდება მათ გაადგილება და ფსიქოლოგიური ფონი ართულებს მდგომარეობას მათ უჭრთ კონტაქტის გაწყვეტა დედასამშობლოსთან.

სოციოკულტურული ადაპტაცია გულისხმობს, როცა თავისუფლად შეგიძლია კომუნიკაცია ახალ საზოგადოებასთან და ადვილად ხერხდება ყოვლედღიურ პრობლემასთან განმკლავება.

ტექნიკურმა წინსვლამ კი უფრო დააპატარავა მსოფლიო და მარტივი გახადა კომუნიკაცია, გვიადვილდება ენის შესწავლა და სხვადასხვა ცოდნის დაგროვება.

პიროვნებამ უნდა მოახერხოს და ახალ კულტურაში გაიჩნოს ახლი მეგობრები, შეეძლოს თავისი გრძნობების თავისუფლად გამოხატვა, ისინი გამოხატავენ იუმორს, ტკივლის, აღტაცებას, იმედგაცრუებას და ა.შ, რაც უფრო მეტად აქვს ადამიანს სოციალური ურთერთებების გამოცდილება, მით უფრო მარტივია მისთვის კულტურული შოკიდან თავის დახწევა, მითმეტეს, თუ მის სამეგრობოში შეიმჩნევა ეთნიკური და რასობრივივ სიჭრელე, მაგრამ კულტურათა სხვაობამ რა თქმა უნდა შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი, გაუგებრობა და დაძაბულობა.

კულტურულ შოკს ყველა ადამიანი ინდივიდუალურად განიცდის, მან შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ფსიქიკური შერყევაც კი.

მეცნიერები გამოყოფენ კულტურული შოკისთვის დამახასიათებელ რამდენიმე სახესხვაობას.

I. სამსახურის და მდგომარეობის დაკარგვა;

II. დაძაბულობა ადაპტაციისას;

III. მარტობის შეგრძნება, რამაც შეიძლება ახლი კულტურის მიუღებლობაც კი გამოიწვოს;

IV. იმედების გაცრუება და თვითინდენტიფიკაციის შეგრძნების დაკარგვა,

ადამიანებს უჭირთ ადაპტაცია მათვის ახალ სამყაროში, რადგან მათვის კარგად ცნობილი შეხედულებები სამყაროს აღქმაზე ხშირად მიწასთან სწორდება, ეს იწვევს დეპრესიას, ადამიანმა შეიძლება გადამეტებული ყურადღება მიაქციოს- თეთრეულის, ჭურჭლის სისუფთავეს, საკვებისა და წყლის ხარისხს, შეიძლება, რომ მდგომაროება უფრო დამძიმდეს და ეს ყველაფერი მივიდეს- ნარკომანიამდე, ალკოჰოლიზმდე და თვითმკვლელობამდეც კი, თუმცა მეცნიერები 90-იანი წლებიდან ამჯობინებენ ისაუბრონ არა შოკისგან გამოწვეულ მძიმე შედეგებზე, არამედ აკულტურიზაციის სტრესზე, ისინი გამოყოფენ ხუთ სახეს. მას ხშირად მოიხსენიებენ როგორც "U", რადგან მოხრილი რკალი ზუსტად ასევე ვითარდება:

კაარგი, უარესი, ცუდი, უკეთესი და კარგი. [7]

"თაფლობის თვე"- კარგი- როცა ახალ ჩასული ემიგრანტები აღვსილები არიან, მოლოდინებითა და ენთუზიაზმით, ისინი თავიდან იღებენ დახმარებას და თავს პრივილეგირებულად გრძნობენ, მაგრამ ეს პერიოდი მალევე გადის.

"დარდის"-უარესი- იწყება ახალ სამყაროსთან შეუგუებლობა, იმედგაცრუება, დეპრესია. უარესდება ფსიქოლოგიური მდგომარეობა, აქვს გაუგებრობა სხვა კულტურის მქონე ადამიანებთან. აქვთ კონტაკტი თანამოძეებთან და წუწუნებენ თავიანთ ყოფაზე.

"რეინტეგრაციის დონე"-ცუდი- ფაზა კრიტიკული ხდება იგი ახწევს თავის მაქსიმუმს, მან შეძლება ჯანმრთელობის მდგომარეობაც კი შეარყიოს.

"ავტონომიის დონე"-უკეთესი- პერსონა ხდება თავის თავში დარწმუნებული, უჩნდება კმაყოფილების განცდა მისი მდგომარეობის მიმართ.

"დამოუკიდებლობის დონე"- კარგი- როცა ინდივიდი და გარემო ერთმანეთან სრულ ჰარმონიაშია.

ეს პროცესი შეიძლება დროში გაიწელოს და გაგრძელდეს 4- 5 წლამდე.

[7] https://socpolcultpsycho.wordpress.com/2016/11/11

ვერ ვიტყვით, რომ ეს მოდელი ყველასთვის უნივერსალურია, მსგავს შეგრძნებებს არ განიცდიან ტურისტები ისინი მარტივად ახერხებენ ადაპტაციას.

ყურადღება მისაქცევია მიგრანტის სქესი და ასაკი, რას უფრო ხნიერია ადამიანი მით უფრო უჭირს შეგუება პროცესებთან, ბავშვები კი მარტივად და სწრაფად ეგუებიან ახალ გარემოს. ითვლება, რომ ქალბატონებს უფრო უჭირთ გარემოსთან შეწყობა ვიდრე კაცებს, განსაკუთრებით მათ ვინც დიასახლისად მოიაზრება და ნაკლები კონტაქტი აქვთ ახალ ადამიანებთან.

ბოლო დროს მკვლევარები თვლიან, რომ პირველი მნიშვნელოვანი ფაქტორია განათლება, ერუდირებუილი ადამიანი მარტივად ახერხებს კომუნიკაციას და შეგუებას ახალ კულტურასთან. ის თვისებებიც კი არის გამოყოფილი, რომელიც ადამიანს უნდა გააჩნდეს სხვა ქვეყანაში ცხოვრებისას ესენია: პროფესიონალიზმი თავის სფეროში, სხვდასხვა მოსაზრებაზე გახსნილობა, მაღალი თვითშეფასება, გამბედაობა, ემპათა და ინტერესი სიახლეებისადმი. ამ ყველაფრით განსაკუთრებით გამოირჩევიან ემიგრანტები და სტუდენტები, რომლებიც მიიჩქარიან ახალი ცხოვრებისკენ, რომ გახდნენ ახალი კულტურის ღირსეული წევრები.

ის ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან კონსერვატორობით და ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიას (მაგალითად მუსულმანური სამყარო), რომელთაც ეშინიათ თავიანთ იდენტობის დაკარგვის, რთულად ერწყმიან გლობალიზაციისთვის დამახასიათებელ პროცესებს.

მიგრანტმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, თუ რომელ სახელმწიფოს სურს შეაფაროს თავი, რამდენად კეთლგანწყობილნი არიან ადგილობრივები ჩამოსულების მიმართ, რამდენად დაეხმარებიან, გასათვალისწინებელია ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე დანაშაულის მაჩვენებელი, რამდენად უსაფრთხოდ და დაცული იქნება მიგრანტი ქვეყანაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში მიგრანტებმა თავად აწიეს დანაშაულის კოეფიციენტი.

ეს არის პროცესი, რომელიც ადამიანს აჭიდებს ახალ გამოწვევებთან, საბოლოოდ კი იგი სრულიად სხვა პიროვნებად ქცეული ერწყმის ახალ გარემოს.

მულტიკულტურული სამყარო წარმოშობს, გარკვეული დოზითა რამდგრადობას, საფრთხე ექმნება ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა ერი, რელიგიური მიმდინარეობა, ოჯახი, ტრადიციები, პოლიტიკური იდეოლოგია და ა.შ.

მიგრანტის განათლების დონე ეხმარება, რომ ადვილად ადაპტირდეს რეალობაში, თუმცა მნიშვნელობა აქვს რამდენად კეთლგანწყობილ გარემოში ხვდება იგი. მიგრანტების მთავარ პრობლემაა ქესენოფობია, რომლიც რასიზმთან ასოცირდება.

მულტიკულტურულ სამყაროში აუცილებელია კიდევ უფრო განვითარებული მსოფლიო, რათა ადამიანებს შეეძლოთ საკუთარი კულტურის დაცვა და სხვისის პატივისცემა.

2.3. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის საიმიგრაციო პოლიტიკა

ამერიკის შეერთებული შტატების ექსცენტრიული ლიდერი დონალდ ტრამპი, ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს გამოირჩეოდა ხმამაღალი განცხადებებით მიგრაციასთან დაკავშირებით, იგი თავის ოფიციალურ გვერდზე Twitter-ის მეშვეობით ავრცელებდა ინფორმაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის ლიდერმა სოციალური ქსელების დახმარებით და კარგი მარკეტინგით ადვილად მოახერხა საპრეზიდენტი არჩევნებში გამარჯვება .

ამერიკიის 45-ე პრეზიდენტმა 20 იანვარს ვაშინგტონში ფიცის დადებისას აღნიშნა, რომ ამერიკა კვლავ იქნება ძლიერი, უსაფრთხო და მდიდარი, რომ ამერიკა აღარ აპირებს სხვისი არმიის გამდიდრებას, რომ NATO-ს დაფინანსება დიდ დანახაჯებთან ასოცირდება სხვი, რომ უპირველესი ამერიკა

და ამერიკელები არიან. ტრამპმა განაცხადა: "ჩვენ გვექნება ორი უმთავრესი წესი: იყიდე ამერიკული და დაიქირავე ამერიკელი."

ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ კი სიტყვა აქცია საქმედ და მიგრანტთა ქარავანს დღემდე აქტიურად ებრძვის. ტრამპმა დააწესა სამგზავრო აკრძალვა 7 ქვეყანაში - სირია, ირანი, ლიბია, ერაყი, სუდანი, სომალი და იემენი, აკრძალვისას მეტი წილის იყო მუსლიმანურ სახელმწიფოებზე. გაეროს 73-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას ღიად დააფიქსირა თავისი შეხედულება, მან განაცხადა, რომ ამერიკა არ იქნებოდა გლობალური მიგრაციული ასპექტის მონაწილე.

აშშ აღიარებს ყველა სახელმწიფოს უფლებას, რომ გაატარონ საიმიგრაციო პოლიტიკა, საკუთარი ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ. ტრამპი მოითხოვდა სხვა ქვეყნებისგან, რომ აშშ-ს უფლება აღიარონ და თავადაც, რომ გაატარონ მსგავსი პოლიტიკა ურიგო არ იქნება.

"მიგრაციას არ უნდა მართავდეს საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც არ არის ანგარიშვანდებული ჩვენი მოქალაქეების წინაშე"- განაცხადა ტრამპმა.

დონალდ ტრამპის აზრით აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზად მათი მშობლიური ქვეყნების განვითარება დაასახელა, რომ შეიქმნას სათანადო პირობები არსებობისთვის, რაც უტოპიურად მესახება, რადგან შეუძლებელია მოკლე ვადებში შეიქმნას შემდგარი სახელმწიფო.

აშშ-ს სახელმწიფოს საზღვრის დარღვევის შემთხვევაში არალეგალი მიგრანტების მიმართ გამოცხადდა "ნულოვანი ტოლერანტობა" ამის შესახებ ინფორმაცია 2018 წლის მაისში განაცხადა ამერიკის გენერალურმა პროკურორმა- ჯეფ სეშენსმა, განაცხადა რომ კანონის დამრღვევები ფედერალურ ციხეში განთავსდებიან, მათ თანმხლებ არასრულწლოვანებს, ოჯახის წევრებს განათავსებენ სპეციალურ თავშესაფარებში სოციალური მუშაკების მეთვალყურეობოს ქვეშ. ოჯახების განცალკევებამ დიდი ყურადღება მიიქცია მსოფლიო არენაზე,ტრამპმა განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემა დემოკრატიული პარტიის ბრალია და მის გამოსასწორებლად იმუშავებდა

რესპუბლიკელებთან ერთად, რადგან არ არსებობს კანონი, რომ მიგრანტების ოჯახების დანაწევება შეეძლოს. პროკურორმა კი, რომელსაც აკრიტიკებდნენ განაცხადა, რომ "ბოდიშს არ მოიხდან საკუთარი საქმის შესრულებისთვის."

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ კი გააკეთა განცხადება, რომ ამ პოლიტიკით თავად მიგრანტების დაცვა ხდება, ადამიანთა მოვაჭრეებისგან -ტრეფიკინგისგან, რომ დაიხსნან ექსპლატატორებისგან.

ქვეყნის პირველმა ლედიმ კი პრესასთან განაცხადა, რომ შეძრა იმ ამბავმა, როცა ოჯახისგან მოშორებული ბავშვები ნახა, მაგრამ დასძინა, რომ აშშ არის ქვეყანა, სადაც ყველა კანონს მიჰყვება, თუმცა გულით იმართება.

ამერიკის ლიდერმა აღნიშნა, რომ - "ამერიკის შეერთებული შტატები მიგრანტთა ბანაკი და ლტოლვილთა დროებითი დაკავების დაწესებულება არ გახდება", მან პარალელი გავლო ევროპასთან, რომ იგი არ დაუშვებდა მათ დამსგავსებოდა.

აშშ აფრთხილებდა მექსიკას, რომ ქვეყნებს შორის არსებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საფრთხის ქვეშ დადგება, თუ ქარავანი არ შეჩერდება. ტრამპი არ გამორიცხავდა საზღვრის მთლიანად ჩაკეტავს და სამხედრო ძალების საზღვართან განთავსებას, რომელთა რაოდენობას 15 ათასამდე გაზრდიდა.

ამერიკის პრეზიდენტი ქარცეცხლში გაატარეს იმიგრანტთა უფლება დამცველებმა რიტორიკის გამო, რომლის მიხედვითაც მიგრანტთა უმრავლესობა კრიმინალია, ისინი შიშობდნენ ქარავანში მყოფი ადამინების უსაფრთხოებაზე, სადაც უმეტესობა ქალი და ბავშვი გახლდათ.

დონალდ ტრამპი აქტიურად განიხილავდა ე.წ "მწვანე ბარათის" (უცხო ქვეყნის მოქალაქეებს აშშ მუდმივად ცხოვრებისა და მუშაობის უფლებას ანიჭებს, იგი 1990 წლიდან არსებობს) წესების შეცვლას მან ეს იდეა შეიმუშავა ორ სენატორთან ერთად სახელწოდებით "RAISE", რაც გულისხმობდა ლატარიის გაუქმებას , რომლის წყალობითაც ამერიკაში 50 000 ადამიანი ჩადის.

საკმაოდ ექსტრემალური განცხადებების გამო, ხშირად უწევს ტრამპის გარემოცვას ახსნა-განმარტებების გაკეთება, თუნდაც იმ აფსურდული მოსაზრებისას, რომ ამერიკა დიდი კედელს ააგებდა მექსიკის საზღვართან. ტრამპის გუნდი თავს ე.წ რეიგანისტებს უწოდებს, რომლებიც ორიენტირებულები არიან კონსერვატორული იდეებზე. ისინი ორიენტირებულნი არიან ქვეყნის გაძლიერებაზე, ეროვნული ინტერესების წინ წამოწევაზე, სამუშაო ადგილების გაზრდაზე და ა.შ.

ტრამპი ამ წლის გაზაფხულზე სიტყვით გამოვიდა ქალაქ კალექსიკოში, მექსიკის საზღვართან, მან ღიად განაცხადა: " სისტემა სავსეა და ვეღარ მიგიღებთ ... ჩვენი ქვეყანა სავსეა","უკან გაბრუნდით. ასეა ეს ამბავი".[8]

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სამხრეთის საზღვარზე საგანგებო მდგომარეობა, ამან ამ ფრაზით მინიშნება გააკეთა, კონგრესისთვის, რომელმაც თანხის გამოყოფაზე უარი განაცხადა, რათა საზღვართან კედელი აშენებულიყო. აღნიშნულ პროცესს ეწინააღმდეგებიან დემოკრატები და ქვეყნისა 19 შტატი, მათ არ სურთ 1,6 მილიარდის გადინება მოხდეს კედლის ასაშენებლად.

2016 წლის არჩევნებისას ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჰილარი კლონტონს დაამარცხება ოლიგარქი, მაგრამ კარგმა მარკეტინგულმა გათვლამ და დაპირებებმა ადვილად შეძლო ქვეყნის სათავეში ტრამპის მოყვანა.

[8] http://www.tabula.ge/ge/topic

თავი III. მიგრაციული პროცესების გლობალური ტენდენციები და საქართველო

3.1. შრომითი მიგრაცია საქართველოდან, რისკები და გამოწვევები

საქართველოში შრომითი მიგრაცია აქტუალური გახდა 90- იანი წლებიდან, ნაკადი გაიფანტა მეზობელ ქვეყნებში რუსეთისა და თურქეთის მიმართლებით, დროთა განმავლობაში არეალი გააფრთოვდა საფრანგეთის, ესპანეთსა და აშშ-ს მიმართულებით. მიზეზი რა თქმა უნდა მძიმე სოციალური პირობები გახლდათ. შრომით მიგრაცია გახლავთ, როცა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადგილდება პირი დასაქმების მიზნით. მსოფლიოში დაახლოებით 105 მილიონი ადამიანი არის დასაქმებული საკუთარი სამშობლოსგან შორს. ამ სახის მიგრაცია განიხილება, როგორც საერთაშორისო მრავალაშრიანი მოვლენა, რომელსაც ვერცერთი სახელმწიფო ვერ უვლის გვერდს. შრომითი მიგრაციის დიდ ნაწილს ქალები შეადგენენ, მრავალმა ქალმა მიატოვა ოჯახი უკეთესი ანაზღაურებისათვის, ამის საშუალებას კი ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები იძლევიან. დრო გადის, მაგრამ რეალურად ჩვენს თანამედროვეობაში არაფერი იცვლება.

ემიგრაციას თან ახლავს მშობლიურ ქვეყანაში შობადობის ნაკლებობა და სიკვდილიანობის ზრდა, 2008 წლიდან გარდაცვლილთა რაოდენობა აღემატება ჩვილთა რაოდენობას. გაეროს მონაცემებით თუ ასე გაგრძელედა, 2020 -2050 წწ. საქართველოს მოსახლეობა 2 მლნ-ით შემცირდება, რაც მოსახლეობის ამჟამინდელი რაოდენობის 40 % შეადგენს[9]. ამ ყველაფერს თან ერთვის, მაღალკვალიფიციური კადრების გადინება, საქართველოში შეინიშნება სამუშაო ძალის კლება. 2002 - 2017 წლის მონაცემით საქართველოს საზღვარი გადაკვეთა 1,5 მილიონმა ადამიანმა.

"ტვინების გადინება"- მოაზროვენე ადამიანების გადინება საგრძნობად აზიანებს ეკონომიკას, კვალიფიკაციური კადრის ნაკლებობა საკმაოდ ცუდად

[9] https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/m-i-g-r-a-ts-i-a/migratsia-sakartveloshi/shromiti-migratsia

აისახება ქვეყანაზე. 2017 წლის მონაცემით 20% ფლობს დიპლომს, მაგისტრატურის ან რეზიდენტურის, ანუ თითქმის მეხუთედი წარმოადგენს ადამიანთა იმ ნაწილს რომელიც მაღალი ადამიანური რესურსით ხასიათდება.

ჩვენი სამშობლო განეკუთვნება იმ ქვეყნათა რიცხვს, სადაც შრომითი რეგულიციის შესახებ რეგულირება მწირია. არ გვაქვს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ, შეძილება ითქვას, რომ გაფანტულია სხვადასხვა კანონში მაგრამ სრულყოფილი, ჩამოყალიბებული სახით იგი არ გაგვაჩნია. 2013 წელის 15 მარტს ჩვენმა მთავრობამ მიიღო # 59 დადგენილება, "მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე" აღნიშნული საკითხით დაინტერესდა შრომისა, ჯანმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დაიწყო კანონპროექტის შემუშავება.

ამ შემთხვევაში აუცილებელია გავითვალისწინოთ ევროპელი ძმების გამოცდილება, მოხდეს გაზიარება.

შრომითი მიგრანტების დაცვის საკანომდებლო ბაზა, რადგან ხასიათდება სიმწირით, საფრთხის შემცველი გახლავთ დასაქმებულთათვის. საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციას, შრომით ურთიერთობებში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შრომითი მიგრანტების მიხედვით, მიიღო მნიშნველოვანი დოკუმენტი, მათი დაცვისთვის 1949 წლის # 97 კონვენცია, რომელშიც გაწევრიანებულია 49 სახელმწიფო, თითოეული მათგანი ვალდებულია: დაიცვას მათი უფლებები უსაფრთხოება, ჯანმთელობა, ზეგანაკვეთური მუშაობის მოწესრიგება, ანაზღაურებადი დასვენების დღეები, გადამზადების კურსები ქალებისთვის და ბავშვებისათვის და ა.შ 120-ზე მეტ ქვეყანას არ აქვს რატიფიცირებული დოკუმენტი მათ შორის საქართველოს.

ასევე უნდა აღინიშნოს 1975 წლის #143 კონვენცია, ის რატიფიცირებული 23 სახელმწიფოში. კონვენციის პრეამბულში ხაზგასმითაა წარმოჩენილი უმთავრესი პრინციპები შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვისთვის, ესენია: სათანადო ინფორმაციის მიწოდება მიგრანტისთვის სრულყოფილად და

გარკვევით, რომ უნდა იყოს უზრუნველყოფილი მგზავრობა, ტრანზიტი, ჩასვლისას მინიმალური პირობების შექმნა, ყურადღება ეთმობა არაკონტროლილებად მიგრაციას - ტრეფიკინგს, რაც აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას, კონვენციის თანახმად მხარეები ვალდებულნი არიან გააკონტროლონ და აღმოფხვრან სიტუაციები თავიანთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

რა თქმა უნდა, კონვენცია ორიენტირებულია შრომითი მიგრანტების ფუნდამენტალური ურთიერთობების დაცვაზე, მაგრამ საოცრად დახვეწილად ახდენს ბალანს კერძო და საჯარო სამსახურებთან, თუმცა დებულება აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი სახელმწიფოს აძლევს საშუალებას, არალეგალების მიმართ იყოს შემწყნარებელი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაც, ასევე აქტიურად მუშაობს ზემოთ აღნიშნულ საკითხზე (იგულისხმება ადამიანის უფლებათა დაცვის 9 ინსტრუმენტი)

საქართველოს რატიფიცირებული აქვს "ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული) ", რომლის აღსრულება სავალდებულოა შრომით მიგრაციასთან დაკავშირებით. ჩვენ ასევე რატიფიცირებული გვაქვს 181 -ე კონვენცია" დასაქმების კერძო სააგენტოს შესახებ", ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაცის 88-ე კონვენცია " შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ", აგრეთვე "დასაქმების სამსახურის ორგანიზაციის შესახებ" და სხვადასხვა კონვენციები, რომელიც არეგულირებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა პრობლემებს.

ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ორმხრივი ურთიერთობა. "პარტნიორობა მობილურობისთვის" მიზნად ისახავს ბრძოლას არარეგულარული მიგრაციის წინაღმდეგ, ასევე თანამშრომლობას: რეადმისიაზე, რეინტეგრაციაზე, დიასპორაზე და ა.შ

ჩვენმა მთავრობამ 2013 წელის მარტს # 59 დადგენილებით 2013-2015 წლებში დაამტკიცა მიგრაციის სტრატეგია, საქართველოს მთავრობა კი

ცდილობს სამართლებრივი ჩარჩოების დახვეწასა და განვითარებას. საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა სამართლებრივი ჩარჩოების განვითარება - დროებითი, ლეგალური და შრომითი მიგრაციის დადებითად უზრუნველსაყოფად, ასევე შრომითი მიგრანტების უფლებების სათანადო დაცვა.

საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას შრომით ურთერთობებში, თუმცა ინდივიდუალურად არ რეგულირდება კოდექსი.

სავიზო პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო უსაფრთხოების, თავისუფალი გადადგილებების და არარეგალური მიგრაციის პრევენციის პროცესში.

სავიზო რეჟიმი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, საქართველოს სავიზო პოლიტიკის მთავარი მიზანია: მიგრანტთა ნაკადების აღრიცხვა და არარეგალური მიგრაციის პრევენცია, კარგი პირობების შექმნა ქვეყანაში, უცხოური ინვესტიციიების მოზიდვა, კვალიფიციური მუშახელის მოსაზიდად, ტურიზმის განვითარება და თანამშრომლობის გარღმავება ბიზნესის, მეცნიერების, სპორტის, კულტურისა და განათლების სფეროებში.

2017 წლის 8 მარტს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდა ევროკავშირის საბჭოს N539/2001 რეგულაციის ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ჩვენმა სამშობლომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა, 28 მარტიდან კი ბიომეტრიული პასპორტით ადვილად გადადგილდებიან ევროპის ზონაში.[10]

უვიზო მიმოსვლამ ევროპაში გაამარტივა ბიუროკრატიული მექანიზმი, რომ მარტივი გახდეს ურთიერთ მიმოსვლა ქვეყანებში, საქართველოს მოქალაქეებს კი მიეცათ შედარებით მაღალანაზღაურებადი დასაქმების საშუალება.

[10] http://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx

"წითელი იმპერიის" დაშლის შემდეგ საქართველომ დაიწყო ეტაპობრივი ინტეგრაცია მსოფლიოს მიგრაციულ სისტემაში. ამპლიტუდაც საკმაოდ დიდ სხვაობას იძევა ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

საქართველო სამი ძრითადი გამოწვევის წინაშე დგას:

I. უკანონო მიგრაციის შემცირება და მიგრანტთა ცნობიერების ამაღლება ;

II. საზღვარს გარეთ მყოფი მიგრანტების უფლებების დაცვა;

III. მიგრაციული ნაკადების უკეთესი აღრიცხვა და არსებულის დახვეწა;

საქართველოს მთავრობა აქტიურად არის ჩაბმული, რომ დააფინანსოს საზღვარგარეთ სწავლა წარჩინებული სტუდენტებისთვის. 2014 წლის მონაცემით 77 სტუდენტს დაუფინანსა სწავლა განათლების საერთაშრისო ცენტრმა, 2004-2014 წლებში სტუდენტთა რიცხვი 2.593- მდე გაიზარდა.

ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ უცხოელი სტუდენტებიც ნელ-ნელა უკვე ინტერესდებიან ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემით, რა თქმა უნდა ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესებიც შედის, რადგან სოლიდურ თანხას, რომელსაც სტუდენტები იხდიან განათლებისთვის, ეს ჩვენი ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა საქართველომაც უნდა შეძლოს სათანადო პირობების შეთავაზება, რომ უფრო მეტად განვითარდეთ და იყოს მოთხოვნაც.

3.2 საქართველოს მიგრაციის სტრატეგია

საქართველოს ჩართულობა, გლობალურ მიგრაციულ პროცესებში, ბოლო წლებია საგრძნოლად იზრდება, ნელ-ნელა წინა პლანზე იწევს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, ხელიეწყობა მიგრაცის ფაქტორის გამოყენებით ქვეყნის განვითარებას, ამიტომ ლოგიკურია, რომ საქართველო დიდ ყურადღებას უთმობს მიგრაციის პოლიტიკის განვითარებას. ევროპულ სტანდარტებთან დახლოების და მიგრაციის გაუმჯობესების მიზნით, მრავალი

მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა საქართველოს მიგრაციის მარეგულირებელ კანომდებლობაში.

საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთოვრობო კომისია (SCMI) 2010 წლის ოქტომბერში, მთავრობის #314 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა. კომისია მთავრობის საკუნსულტაციო ორგანოა, რომელიც განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე. კომიისის საქმიანობა დადებითადაა შეფასებული ევროპული საზოგადოების მიერ.

მიგრაციის პოლიტიკის განივთარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) 1993 წელს ავსტრიისა და შვეიცარიის ინიციატივით შეიქმნა, არაფორმალური კონსულტაცისებისთვის, რომელიც ორიენტირებულია ახალი გამოწვევების აღმოფხვრისკენ, მასში გაერთანებულია 15 ევროპული სახელმწიფო. 2013 წელს სექტემბერში საქართველოს მთავრობამ და ICMPD ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც რატიფიცირებული იქნა 2013 წელის ნოემბერში.

2016-2020 წლებში მიგრაციის სტრატეგია, პოლიტიკის განმსაზღვრელი რიგით მესამე დოკუმენტია, რომელიც შეიქმნა ჩვენი სამშობლოსთვის. პირველი მსგავი დოკუმენტი შეიქმნა 1997 წელს.

ერთ-ერთი მთავარი მიზანი სტრატეგიის სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლებაა, იგზავნება სხვადასხვა გზავნილები:

- ლეგალური მიგრაცია საუკეთესო არჩევანია, საკუთარი უფლებების დასაცავად;
- უცხო ქვეყნაში კანონიერად ყოფნისას დაცული ხართ თანმდევი საფრთხეებისგან;
- სახელმწიფო ზრუნავს თავის მოქალაქებზე, საფრთხის შემთხვევაში უნდა ეცნობოს დიპლომატიურ წარმომადგენლებსა და საკონსულო დაწესებულებებს;

სახელმწიფოსთვის ასევე პრიორიტეტულია ცირკულარული მიგრაცის განვითარება, რომ მოხდეს მიგრაციის დადებითი ეფექტის გაზრდა, ამისთვის, აუცილებელია მოხდეს ცირკულარული სქემებისა და საერთაშორისო დასაქმების ხელშეკრლებების შემუშავების აუცილებლობა, უნდა მოხდეს შრომით ბაზარზე არსებული მოთხოვნა- მიწოდების მდგომარეობის გათვალისწინება. წარმატებული მიგრაციისთვის აუცილებელი პირობა პოტენციური მიგრანტების პროაქტიული ინფორმირება და ემიგრაციისთვის მომზადება, საცდელი პროექტები ხორციელდება: გერმანიასთან, ესტონეთან და პოლონეთთან.

მიგრაციის მართვისას მნიშვნელოვანია ხელიშეეწყოს დიასპორასა და მიგრანტების პოტენციალის სრულფასოვან გამოყენებას, ქვეყნის კეთლდღეობისთვის. ამისთვის იქმნება სხვადასხვა პროექტები, რომელშიც აქტიურად არიან ჩაბმულნი სხვადასხვა არასამთავრობოები. მაგ: „აწარმოე საქართველოში“, რომელიც 2015 წლიდან არსებობს, ასევე „ საქართველოს კარიტასი“, როდესაც ნებაყოფლობით დაბრუნებულ ემიგრანტებს ეხმარებიან სამშობლოში ადაპტაციაში, მათ უწევენ კონსულტაციებს, იმართება ტრენინგები და საუბრები ფსიქოლოგებთან. ემიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), ფინანსურად უზრუნველყოფს, რომ სამშობლოში დაბრუნებულებმა შეძლონ საკუთარი შემოსავლის ქონა. ასევე აქტიურად ეხმარება ემიგრანტებს გერმანული ორგანიზაცია (CIM), როცა ახალგაზრდებმა განათლება, მიიღეს, თუნდაც პროფესიული გერმანიაში, რომ ადაპტირდნენ წარმატებით სამშობლოში, ასევე ჰოლანდიის მთავრობის და მიგრაციის საერთაშორისო პროექტი -TRQO III,ASEVE არ შეიძლება არ ვახსენოთ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელიც უამრავ კონულტაციებს ატარებს, რომ იქნას დაცული მიგრანტების უფლებები, რომ მათი ცნობიერება განვითარდეს და ამაღლდეს.

2020 წლისთვის იგეგმება, საქრთველოში საკანომდებლო და ინსტიტუციური სივრცის შექმნა, რათა უფრო დავახლოვდეთ ევროკავშირთან, რომ სხვადასხვა კულტურის, რასის, რელიგიური, კულტურილი და

პოლიტიკური მრწამსის ადამიანებმა შეძლონ ერთად ჰარმონიული თანაცხოვრება.

საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის ძირითადი პრინციპები :

- საერთაშორისო სამართლის მიხედვით მიგრანტების, ლტოლვილების, მოქალაქეობის არმქონე ადამიანების უფლებების დაცვა;
- ადამიანითა ვაჭრობის დაუშვებლობა;
- ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრა და შესაბამისი რეაგირება;
- ქვეყნის აღმავლობაში და განვითარებაში იმიგრანტების ჩართულობის ხელშეწყობა ;
- ევროკავშირთან ურთიერთობების გამყარება;
- სამშობლოში დაბრუნებულების ხელშეწყობა, რომ მარტივად მოხდეს ადაპტაცია;
- სახელმწიფოსა და საზოგადების ინტერესების და უსაფრთხოების თანხვედრა;
- ლეგალური და არალეგალური მიგრაციის რეგულაცია და აღრიცხვა;
- სასურველი პირობების შექმნა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ტურიზმის განვითარება;
- ჩვენი მოქალაქეების თავისუფლად გადადგილება და არეალის გაზრდა;

მიგრაციას შეიძლება აღვიქვათ, როგორც ქვეყნის განვითარების პროცესად, მიგრანტებს კი "განვითარების აგენტები“ ვუწოდოთ, რომლებსაც ჩააქვთ სხვა ქვეყანაში გამოცდილება და კვალიფიკაცია, ფინანსური კაპიტალი და უნარები. მიგრანტების მიერ ფულადი გზავნილები კი ქვეყანას ეხმარება ეკონომიკურ წინსვლაში. 2013 წელთან შედარებით ფულადი გზავნილები 40 მილიონი აშშ დოლარით არის შემცირებული, კლება გრძელდებოდა 2015 წელსაც, რაც გამოწვეული გახლდათ რუსეთისა და უკრაინის კრიზისით. მსოფლიო ბანკის გამოთვლებით საქართველოში ელექტრონულად განხორციელებული ტრანზაქციები 60-70 პროცენტს შეადგენს. [11]

[11] https://www.worldbank.org/en/topic/labormarkets/brief/migration-and-remittances

დაბრუნებულნი კი ინოვაციური იდეებით ცდილობენ ქვეყნის აღმავლობასა და თავის დამკვიდრებას.

ინტელექტის გადინება, ე.წ ტვინების გადინება, აფერხებს ქვეყნის განვითარებას, ამიტომ აუცილებელია, კვალიფიციური კადრი დარჩეს სამშობლოში და განავითაროს იგი, რომ იქცნენ რესურსად აღმავლობისთვის, ამისთვის კი მათ უნდა შევუქმნათ სათანადო პირობები.

2019 წლის მონაცემებით ლიდერობს ევროპის რამდენიმე სახელმწიფო თავშესაფრის მაძიებლებისთვის, ესენია: საფრანგეთი, გერმანია და ესპანეთი, რაც, რა თქმა უნდა ზრდის დანაშაულის რიცხვს და ქვეყნის უსაფრთხოებას უპირველეს ადგილს აყენებს.

ევროპაში თავშესაფრის მაძიებელთა მხარდაჭერით საქართველო იმ 10 ქვეყანას შორისაა, რომლებიც აქტიურად ითხოვენ თავშესაფარს, ესენია: ნიგერია, ერაყი, პაკისტანი, კოლუმბია, ვენესუელა და ალბანეთი.

2016 წელს ჰოლანდიის პოლიციამ ჩაატარა მონიტორინგი, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა იმ დანაშაულთა რიცხვს, რომელიც თავშესაფრის მაძიებლებმა ჩაიდინეს.

საქართველო იმყოფება რელაური საფრთხის წინაშე, გახშირდა მთავრობის მხრიდან გაკეთებული განცხადებები, რომ ვიზალიბერალიზაციას საფრთხე ემუქრება, რომ აქტიურად მუშაობს იუსტიციის სამინისტრო, რათა მოხდეს ამ კეთილდღეობის შენარჩუნება.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ: ბოლო დროს უვიზო მიმოსვლამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა, რომ ყოველდღიურად მატულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მიილტვიან ევროპისკენ, ასევე გამკაცრდა სახელისა და გვარის მარტივად შეცვლა, რადგან ევროკავშირში დანაშაულის ჩამდენმა პირმა კვლავ არ ჩაიდინოს დანაშაული ევროპის ტერიტორიაზე. წულუკიანის თქმით უვიზო მიმოსვლას საფრთხე ემუქრება [12]

---

[12] https://netgazeti.ge/news/359435/

საქართველოს ექსპერტი ევროინტეგრაციის საკითხში ბატონი ვანო ჩხიკვაძე, აღნიშნავს საფრთხის რელურობას : "მე, როგორც ვიცი, ინდივიდუალურ დონეზე იყო ეს თემა არაერთხელ განხილული. ბრიუსელში შეხვედრებისას ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელმა პირდაპირ დააყენა ეს საკითხი. ასე რომ, საფრთხე რეალურია. ისინი ასეთ რამეს უბრალოდ სიტყვის მასალად არ ამბობენ"[13]

სავალალოა საფრანგეთის და ესპანეთს მონაცემები, რადგან 217 წლის მონაცემით 2700- მა ადამიანმა მოითხოვა თავშესაფარი, გასული წლისო მონაცემით კი 6900-მდე გაიზარდა. პროცენტული მაჩვენებლით 100 უტოლდება მოთხონის ზრდა, მსგავსი პრობლემები აქვს ალბანათს, შესაძლოა მასაც შეუჩერდეს უვიზო მიმოსვლა. თუ უმრავლესობა მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ დროებით უნდა შეწყდეს მიმოსვლა 18 თვით არ აღმოიფხვრება პრობლემა აკრძალვა გაიზრდება 27 თვემდე, საბოლოოდ კი ავღმოჩნდებით "შავ სიაშვი", მდგომარეობის გამოწორება კი ძალიან რთული იქნება.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ პრობლემას ვერ აღმოფხვრავს მხოლოდ ჯარიმები, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება და კონსულტაციები, რომ ვიზალიბერალიზაციას პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, თუ გადაწყვეტილება ჩვენს წინაღმდეგ იქნება მიღებული ეს პრორუსულ ძალებს ძალიან გაახარებს, ამიტომ აუცილებელია,რომ მოსახლეობამ კეთილგონიერება გამოიჩინოს.

საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა, საკმაოდ მძიმეა ამიტომაც ერთ-ერთი პრიორიტეტი საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების წახალისება და დაბრუნებული მიგრანტების ხელშეწყობაა. აუცილებელია დაბრუნებული მიგრანტების ნაკადის სანდო ინფორმაციის არსებობა, რომ გაუმჯობესდეს მონაცემების ერთიან სისტემაში ასახვა, რომ

[13] http://m.geotimes.ge/news.php?news_id=65772&lang=geo

განისაზღვროს საინტეგრაციო პროგრამის სამიზნე აუდიტორიის რაოდენობა, განათლების დონე, კვალიფიკაცია, პროფესიული უნარები და აქედან გამომდინარე საჭიროებები. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაცია განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კომპეტენციაა, აღნიშნულ სამინისტროს აფინანსებს ევროკავშირის პროექტი "საქართველოს მთავრობის პოტენციალის გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მართვაში", რომლის მიზანია საქართველოში დაბრუნებული მოქალაქეების რეაბილიტაცია, პროექტი ხორციელდება სამ რეგიონში: ქუთაისი, თელავსა, ბათუმში.

სამწუხაროდ, კვალიფიკაცური კადრების რეინტეგრაცია არასაკმარისად არის განვითარებული, რადგან სახელმწიფო ვერ სთავაზობს ღირსეულ პირობებს ცხოვრებისთვის. ქვეყანა აგზავნის ღია შეტყობინებებს, სადაც აქტიურად არიან ჩაბმულნი მედია საშუალებები, რომ ყველასათვის ხელმისაწდომი გახდეს ინფორმაცია.

- "გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს";
- დაზოგე გზავნილები და მოახდინე ხელსაყრელი ინვესტირება;
- შეიტანე წვლილი ქვეყნის განვითარებაში მიგრაცია შეიძლება იქცეს წარმატებულ პროექტად თქვენთვის თუ სათანადოდ ემზადები;[14]

სტრატეგიის წინსვლაში დიდ როლს თამაშობს შუამავალი რგოლები ესენია: საგანმანათლებლო დაწესებულებები, მედია სშუალებები, არასამთავრებო ორგანიზაციები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, საზღვარგარეთ მყოფი დიასპორული ორგანიზაციები და ა.შ.

საქართველოში 2003 წლიდან ტრეფიკინგი სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი გახდა, რომ კიდევ უფრო მივუახლოვდეთ ევროპულ სტანდარტებს შემუშავებულია სამოქმედო გეგმა ადამიანით ვაჭრობის წინაღმდეგ, არსებობს დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სხელმწიფო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს: იურიდიულ დახმარებას, სამედიცინო

[14] http//iec.gov.ge/4240

მომსახურებას, ფსიქოლოგის მომსახურებას, ცხლე ხაზს, არასრულწოვნებისთვის საშუალო განათლების მიცემას და თავშესაფრით უზრუნველყოფას.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესახებ 2014 წლის სტატისტიკური მონაცემები ესე გამოიყურება : [15]

საქართველოში არსებობს ტრეფიკინგთა მსხვერპლთათვის ორი თავშესაფარი: თბილისსა და ბათუმში, იგი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თავშესაფარში ბენეფიციართა მიღება ხდება დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შემდეგ 3 თვის მოქმედების ვადით, შემდეგ კი 1 წლის ვადით ხორცილედება მასზე მეთვალყურეობა. აუცილებელია დაზარალებულის ადგილსამყოფელის საიდუმლოდ შენახვა მისი უსაფრთხოებისთვის.

დიდი ყურადღება ეთმობა არასრულწოვანი ბენეფიციარების რეაბილიტაციას და განათლების მიცემას, მათი წარსულიდან გამომდინარე ასეთ ბავშვებს არ აქვთ დაწყებითი განათლება და ჭირს მათთვის განათლების მიცემა.

პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელია დაიხვეწოს:

- პროგრამის ხელმისაწდომობა შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის;
- დაიხვეწოს თავშესაფრის მართვის სტანდარტები;
- სრულყოფდილად იქნას მედიკამენტოზური მომარაგება;
- გაუმჯობესდეს ბენეფიციარების კვება ;
- ბავშვთა პროგრამების სრულყოფა და მეტ აქტივობაში მათი ჩართვა;

3.3 საქართველოს მიგრაციის სტატისტიკა

მიგრაციული ნაკადები ზემოქმედებით მიერ გამოწვეული გლობალური პრობლემები სცდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს. მიგრაციის პოლიტიკის

[15] http://www.parliament.ge/uploads/other/75/75689.pdf

ეფექტიან განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ურთერობებს.

ჩვენი მთავრობის პრიორიტეტია, ევროკავშირის სტანდარტებთან კიდევ უფრო დახლოება და განვითარება, საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო დიალოგი 2012 წლის 4 ივნიის გაიხსნა, ხოლო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა 2013 წლის 25 თებერვალს გადმოგვეცა. სამოქმედო გეგმის წარმატებულმა განხორციელებამ მოსახელობას მისცა საშუალება, რომ ახალ გარემოში განვითარებისა.

2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა გახლავთ 3, 729,600 ადამიანი. ვიზალიბერალიზაციამ, საგრძნობლად შეამცირა საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა, მოსახლეობა მიისწრაფვის უკეთესი პირობებისკენ.

საქართველოში ფულადი გზავნილები შემოედინება: რუსეთდან, იტალიიდან, აშშ-დან, საბერძნეთიდან და უკრაინიდან. 2014 წლის მონაცემით ფულადი გზავნილები შემცირებულია, 2013 წლის მონაცემით 40 მილიონი აშშ დოლარით, კლების ტენდენცია გრძელდებოდა 2015 წლამდე რაც გამოწვეული გახლდათ, რუსეთის კრიზით. 2014 წლს 1.440 მილიარდ დოლარზე მეტი იყო რაც ჩვენი ქვეყნის შიდა პროდუქტის 8.7 5 შეადგენდა. მსოფლიო ბანკის შეფასებით საქართველოში ელექტრონულად განხორციელებული გადმორიცხვები დახლოებით 60-70 პროცენტს შეადგენს.

გაგზავნილი თანხები ძირითადად იხარჯება პირადი მოხმარებისთვის, ინვესტიცია იდება ჯანდაცვაში, განათლებაში და უძრავ ქონებაში, ეტაპობრივად ხდება სიღარიბის დაძლევა. სამწუხაროდ ვერ ხდება აღნიშნული კაპიტალის ეკონომიკის განვითარებისკენ მიმართული.

ინტელექტის გადინება კი უამრავ პრობლემას ქმნის, კვალიფიკაციური კადრის არარსებობა აფერხებს განვითერებას.

რაც ჩვენი სამშობლო დამოუკიდებელია ისტორიაში პირველად 1999 წელს დაფიქსირდა პრეცედენტი, როცა თავშესაფარი ითხოვა მოქალაქემ ეს

ჩეჩნეთის საომარ მდგომარეობას უკავშირდებოდა, სურვილი 2014 წლის ბოლოსთვის 20-ჯერ გაიზარდა ეს ყველაფერი გამოწვეული გახლავთ ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტური სიტუაციის გამო, ამ ყველაფერს თან ერთვის 2014 წლის უკრაინის მოვლენები. 2015 წელს თავშესაფარი ითხოვა 951 ადამიანმა აქედან 377 უკრაინელი იყო, დანარჩენი კი ერაყელი. რა თქმა უნდა არის შემთხვევები, როცა თავშესაფარის მაძიებელს უარითაც ისტუმრებენ უარი ეთქვა 1580 ადამიანს და პროცესი შეწყდა 2845 შემთხვევაზე სხვადასხვა მიზეზის გამო. 2019 წლის იანვარში სქართველოს მხოლოდ 12 მოქალაქეს მიენიჭა თავშესაფარი 1446 საქმიდან, თებერვალში 1502 საქმიდან დაკმაყოფილდა მხოლოდ 29 მოქალქის მოთხოვნა.

ბოლო წლებში აქტიურად იზრდება ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელთა რაოდენობა, ძირითადად მიზეზად სახელდება ოჯახების გაერთიანება მოთხოვნა ფიქსირდება: რუსეთიდან, უკრაინიდან და თურქეთიდან. ბინადრობის მოთხოვნი პირველ ადგილზე არიან ჩინელები, სასწავლო მიზნით აქტიუროენ ირანელები, არაბები და ინდოლები.

მოქალაქეობის არმქონე სფეროში ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ, ჩვენ ვართ გაეროს ორივე კონვენციის (1954 წლის და 1961 წლის) წევრი ქვეყანა. 2014 წლის 11 ივნისიდან ძალაშია ახალი ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, რომელშიც გათვალისწინებულია მოქალაქეობის არმქონების პრევენცია და აღოფხვრის რიგი მექანიზმები.

საქართველო იმ ათ სახელმწიფოთა რიცხვშია, რომელსაც გააჩნია მოქალაქეობის არ მქონე პირის სტატუსის დადგენის წერილობით პროცედურა. თუმცა ქვეყანაში კვლავ დგას მსგავსი პრობლემები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელია მსგავსი პრობლემის მქონე პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება, ინტეგრაცია და უფლებების დაცვა.

მიგრაციის პრობლემების გაუმჯობესთვის შეიქმნა 6 ჯგუფი

- მოქალაქეობის არ მქონე პირების შემცირების ჯგუფი;

- მიგრაციის სტრატეგიის სამუშაო ჯგუფი;
- საინტეგრაციო საკითხების კონსოლიდაციის სამუშაო ჯგუფი;
- მიგრაციის ანალიტიკური სისტემის სამუშაო ჯგუფი;
- მიგრაციის რისკების ანალიზის სამუშაო ჯგუფი;
- „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მგომარეობის შესახებ“ კანონის მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი;

კომისია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სამეცნიერო ჯგუფებთან და საგანმანათლებლო წრეებთან, რომ მოხდეს სასწავლო დისციპლინის განვითარება და ხელშეწყობა კვლევების კუთხით.

მიგრაციის პოლიტიკის ფორმირების პროცესში მთავარ პრობლემად დგას სანდო ინფორმაციის ნაკლებობა, რაც უარყოფითად აისახება ადეკვატური სტატისტიკის წარმოებაში, ამიტომ აუცილებელია გაუმჯობესდეს ინფორმაციის შეგროვება და ანალიზის სრულყოფილი შესაძლებლობა.

დასკვნა

XXI საუკუნის უნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მიგრაცია, რადგან ყოველდღიურად იზრდება მიგრანტთა რაოდენობა, რთულია მიგრაციის ერთ კონტექსტში გააზრება, ვინაიდან იგი ყველა სფეროს მოიცავს. იგი განიხილება საერთაშორისო ფენომენად და მრავალ კონვენციის, შეთანხმების, რეგულირების საგანი გახლავთ.

მიგრაცია იმდენად გლობალური პრობლემაა კაცობრიობისთვის, რომ იგი დიდი ცვლილებებს იწვევს შიდა და საგარეო პოილიტიკაში.

დღეს შეუძებელია რუკაზე ისეთი სახელმწიფოს პოვნა, რომელსაც მიგრაციის პრობლემა არ აწუხებდეს. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყოველი 35 ადამიანიდან ერთ-ერთი საერთაშორისო მიგრანტი გახლავთ.

უმნიშვნელოვანესია გენდერის როლი თანამედროვე მიგრაციულ პროცესებში. აღნიშნულ პრობლემაზე ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო მსოფლიოს მასშტაბით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოების საკითხებს. მიგრაციის სიჭარბე იწვევს დანაშაულის და ტერორისტული აქტების რაოდენობის ზრდას.

გლობალიზაციის ერაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურათშორის ურთიერთობებს, გარდაუვალი მოვლენაა ახალი კულტურისა და მოვლენებთან ადაპტაცია.

მეცნიერებაში გაჩნდა ტერმინი "აკულტურაცია", რაც გულისხმობ სხვადასხვა კულტურის ურთერთზეგავლენასა დაშერწყმას.

აშშ-ს ლიდერი დონალდ ტრამპი გამოირჩევა ხმამაღალი განცხადებებით მიგრაციასთან დაკავშირებით. მან გაეროში 73-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას ღიად დააფიქსირა თავისი შეხედულება, რომ ამერიკა არ იქნებოდა გლობალური მიგრაციული ასპექტის მონაწილე.

მიგრანტები მძიმე ჯვარია დონორი სახელმწიფოებისთვის, რადგან იტვირთება საზოგადოებრივი სკოლები, იზრდება ეკოლოგიური ხარჯები, აგრეთვე თავდაცვისა და უსაფრთხოების.

მსოფლიო შეძრა აგვისტოს მოვლენებმა, როცა ლიბიაში სანაპიროზე ჩაიძირა მიგრანტთა სავსე ნავი, რომელსაც ადამიანთა სიცოცხლე ემსხვერპლა.

ევროპის მთავარ საფიქრელად იქცა როგორ ებრძოლოს კრიმინალს, ძალადობასა და ტერორიზმს, რომელსაც მიგრანტები იწვევენ.

საქართველოში შრომით მიგრაცია 90 -იანი წლებიდან გახდა აქტუალური,

ხალხის ნაკადი მეზობელ ქვეყნებში გაიფანტა, დროთაგანმავლობაში კი არეალი გაიფანტა საფრანგეთის, ესპანეთს და აშშ-ს მიმართულებით. მიზეზი მძიმე სოციალური ყოფა გახლავთ.

ჩვენი სამშობლო მიეკუთვნება ისეთი ქვეყნების რიცხვს სადაც შრომითი რეგულირების შესახებ რეგულირება მწირია. არ გვაქვს ნათლად ჩამოყალიბებული კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ.

საქართველოს მთავრობამ კიდევ უნდა მოინდომოს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, რომ ღირსეული ადგილი დავიკავოთ ევროზონაში თუ არ გვინდა აღმოვჩნდეთ ალბანეთს მსგავსი სახელმწიფოების გვერდით, აუცილებელია კონსულტაციების ჩატარება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის წერის დროს ძირითადი აქცენტი გაკეთებული მაქვს უცხო კულტურის გაზიარებასა და გათავისების პრობლემაზე, გენდერული პრობლემების გაზიარებაზე, მიგრაციის ჭრილში, "ღა საზღვრის" პრობლემაზე, დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკაზე, მიგრაციის კუთხით საქართველოს საიმიგრაციო პრობლემებზე, ყურადღება მაქვს გამახვილებული იმ საკითხებზე რაც შეიძლება მიგრაციამ გამოიწვიოს (ტერორიზმი, უკანონო მიგრაცია, ტრეფიკინგის საფრთხე).

ამ ლიტერატურაზე დაყრდნობით და მსჯელობის შედეგად ვამტკიცებთ, რომ მიგრაცია დროთა განმავლობაში ხდება მზარდი მონსტრი, რომელიც ცვლის მსოფლიოს რუკას. მას თან ახლავს ტერორიზმი და კრიმინალი, სწორედ ამიტომაა რთული ამ მოვლენის ერთ ჩარჩოში მოქცევა.

ნაშრომზე მუშაობის პროცესი საინტერესო იყო იმ მხრივაც, რომ ბევრი სიახლის აღმოჩენა შევძელი, მაგალითად მიგრაციის მოვლენებს შევხედე გენდერის განზომილებით, სიახლეა ის რომ "ღია საზღვრების" პრობლემა კიდევ დაუძლეველია. აგრეთვე ამერიკის ექსცენტრიული ლიდერის დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკა უცხო კულტურის მიღება-გათავისების შესახებ და ჩვენ იქვეყნის საემიგრაციო პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კევლიშვილი მარიამ, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინაღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) როლი ევროპაში მიგრანტთა სტატუსის დაცვაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების შესაბამისად, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, 2015წელი. (13-27გვ)

2. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია . *საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია.*(6-72გვ)

3. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო და ENIGMMA-ს პროექტი „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში"; "უახლესი მიგრაციული პროცესები და ევროპა: გამოწვევები და შესაძლებლობები " საერთაშორისო კონფერენციის მიმოხილვა 29 – 30 სექტემბერი, 2016 წელი (5-10გვ)

4. ქარდავა ეკატერინე, ფიფია საბა, ცერცვაძე ირინა, 2014, შრომითი მიგრაციის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები (შედარებითი მიმოხილვა),თბილისი, გამომცემლობა: ფაუნტეინ ჯორჯია. (3-13გვ; 16-17გვ)

5. ჭელიძე ნათია, შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში. თბილისი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიგრაციის კვლევის ცენტრი 2006წელი. (103-114 გვ).

6. Глущенко Г.И. Денежные переводы международных трудовых мигрантов: характеристики и детерминанты. Журнал "Вопросы статистики", №3, 2005. стр.38.

7. https://emc.org.ge/ka/products/umaghlesi-ganatleba-rogorts-sabazro-produkti. გადაფრენა. **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.03.2019)**

8. https://1tv.ge/news/ratom-daitsyo-omi-siriashi-yvelaferi-rats-unda-itsodet/ . რატომ დაიწყო ომი სირიაში. **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.03.2019)**

9. https://imedinews.ge/ge/theme/232/rogor-daitsko-omi-siriashi-da-vin-vis-ebrdzvis. როგორ დაიწყო ომი სირიაში და ვინ ვის ებრძვის? **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 25.03.2019)**

10. https://www.interpressnews.ge/ka/article/517885-donald-trampi-daakvirdit-ra-daemarta-evropas-sruli-domxali/. დონალდ ტრამპი - დააკვირდით, რა დაემართა ევროპას - სრული დომხალი **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 30.03.2019)**

11. http://www.tabula.ge/ge/story/130821-germaniis-shinagan-saqmeta-ministri-qvekanashi-islamis-adgili-ar-aris. გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი: ქვეყანაში ისლამის ადგილი არ არის. **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 03.04.2019)**

12. https://socpolcultpsycho.wordpress.com/2016/11/11 . უცხო კულტურის გათავისება და კულტურათაშორისი კონტაქტის პრობლემები. **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 03.04.2019)**

13. http://www.tabula.ge/ge/topic **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.3.2019)**

14. https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/m-i-g-r-a-ts-i-a/migratsia-sakartveloshi/shromiti-migratsia. პრობლემა – შრომითი მიგრაცია. **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 05.04.2019)**

15. http://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.04.2019)**

16. https://netgazeti.ge/news/359435/. უვიზო მიმოსვლას საფრთხე ემუქრება. **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 12.04.2019)**

17. http://m.geotimes.ge/news.php?news_id=65772&lang=geo **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2019)**

18. http://www.parliament.ge/uploads/other/75/75689.pdf ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფრების მონიტორინგის შედეგები **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2019)**

19. https://www.worldbank.org/en/topic/labormarkets/brief/migration-and-remittances World Bank Group **(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 21.05.2019)**